აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 101-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№1 (24.881) სამშაბათი, 11 - 12 იანვარი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ნაწილობრივ ღრუბლიანობა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-15, შიდამთიან რაიონებში - 4-8, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

გილოცავთ ახალ წელს!

კრიალოსა N იუსი

ძალიან განვიცდით ტრაგიკულ მოვლენებს, რომელიც ყაზახეთში განვითარდა და რომლის შედეგად დაიღუპა ათობით ადამიანი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მან ასევე ისაუბრა ყაზახეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე და აღნიშნა, რომ მათი ნაწილი დაბრუნდა საქართველოში, ხოლო საქართველოს იმ მოქალაქეებთან, ვინც რჩებიან ადგილზე, საელჩო აგრძელებს აქტიურ კომუნიკაციას, საჭიროების შემთხვევაში უწევს დახმარებას და ისინი საქართველოში უახლოეს დღეებში დაბრუნდებიან.

* * *

2021 წელს 100%-იანი შესრულება გვაქვს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილშიც, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა 19 მილიარდ 799 მილიონ ლარს, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა 22 მილიარდ 260 მილიონ ლარს გადააჭარბა. მისი თქმით, გასულ წელს, მნიშვნელოვანი თანხები მიიმართა ინფრასტრუქტურის მიმართულებით - ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2021 წელს, ჯამში, 4 მილიარდ 768 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, რაც მშპ-ს 8,1%-ია.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უენდი შერმანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს ესაუბრა. როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პრესრელიზშია აღნიშნული, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა. მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც დაჟინებით მოითხოვს რუსეთისგან თავისი საჯარისო შენაერთების ომამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების შესრულებას.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე ლაშა დარსალიასა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე ემინე ჯაფაროვას შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებმა რეგიონში შექმნილი მწვავე უსაფრთხოების გარემო, რუსეთის ფედერაციის მცდელობები საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეფერხების მიზნით, უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება განიხილეს.

„ვაპირებთ, გავხსნათ თურქეთის ბაზარი, რომ თურქეთიდან შემოვიდეს მაღალი ხარისხის მედიკამენტები, რაც ჩვენი პროგნოზით, მედიკამენტზე ფასს გააიაფებს“

გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა სხვა საკითხებთან ერთად, გასული წელიც შეაჯამა და აღნიშნა, რომ იგი ქვეყნისთვის წარმატებული იყო. „გასულ წელს ძალიან ბევრი მოვლენა მოხდა, მათ შორის იყო არჩევნები, საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება, ამის მიუხედავად, ჩვენ ძალიან წარმატებული ეკონომიკური წელი გვქონდა, ამიტომ ყველას გილოცავთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, წელს გვაქვს სრული მზაობა იმისა, რომ კიდევ უფრო წარმატებული წელი გვქონდეს, ამისთვის გვჭირდება კიდევ უფრო მეტი მუშაობა, მეტი შემართებით, მეტი მობილიზებით და რაც შეიძლება მეტი უნდა გავუკეთოთ ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით იმ ნაწილს, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, თანადგომას. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ მაქსიმალურად უნდა გავამარტივოთ სერვისებზე წვდომა, უნდა გავაუმჯობესოთ, დავხვეწოთ სახელმწიფო სერვისები, ბიზნესს უნდა გავუადვილოთ ოპერირება და საქმიანობა, ზედმეტი ბარიერები უნდა მოიხსნას ქვეყანაში. მაქსიმალური ყურადღება და თანადგომა მოსახლეობას - ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი გზავნილი“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, წელს ერთ-ერთი მთავარი პროექტი იქნება სამუშაო ადგილების შექმნა.

„ჩვენ შევქმნით ათიათასობით ახალ სამუშაო ადგილს. უნდა შევცვალოთ არსებული სოციალური პოლიტიკა და მოსახლეობას შევუქმნათ სამუშაო ადგილები, შევამციროთ სიღარიბე. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი ამ წელს. მომავალი სამი წელი, მოგეხსენებათ, რომ არჩევნები არ იქნება ქვეყანაში. პოლიტიკური სიტუაცია არის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და დასტაბილურებული და ახლა უნდა ვიმუშაოთ - საქმე, საქმე და საქმე! მხოლოდ საქმეზე უნდა ვიფიქროთ და მოსახლეობას უნდა დავეხმაროთ მაქსიმალურად“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მისი ინიციატივით, უკვე დაიწყო საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნაზე მუშაობა და გუნდმა ამ მიმართულებით ევროპის რამდენიმე ქვეყნის წარმატებული მაგალითები დაამუშავა. ირაკლი ღარიბაშვილი აზარტული თამაშების თემასაც შეეხო და აღნიშნა: „ჩვენი დაპირება შესრულდა - აზარტული თამაშების საკითხი დარეგულირდა ქვეყანაში, პარლამენტს მადლობა, რომ მიიღეს შესაბამისი კანონი“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კონკურენციის სააგენტომ ფარმაცევტული ბაზრის ანგარიში დაასრულა. იგეგმება თურქეთთან ბაზრის გახსნა და მეზობელი ქვეყნიდან მედიკამენტების შემოტანა, რაც წამალზე ფასს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

„კიდევ ერთი დაპირება, რომელიც გვქონდა, ეხება მედიკამენტების ფასს. მიმდინარე კვირაში გახდება ცნობილი ახალი გადაწყვეტილება. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს წამალზე ფასს. კონკურენციის სააგენტომ ფარმაცევტული ბაზრის ანგარიში დაასრულა. ახალი მინისტრი უკვე შეხვდა უწყების ხელმძღვანელს და ერთად დაგეგმეს გასატარებელი ღონისძიებები. ჩვენ ვაპირებთ გავხსნათ თურქეთის ბაზარი, თურქეთიდან შემოვიდეს მაღალი ხარისხის მედიკამენტები, რაც ჩვენი პროგნოზით, მედიკამენტზე ფასს გააიაფებს. ასევე ვიმუშავებთ კანონმდებლობაზე, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სიტუაციას“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა არსებულ ეპიდვითარებაზე გაამახვილა ყურადღება და მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდა ვაქცინაციისკენ, პირბადის ტარებისა და სოციალური დისტანციის დაცვისკენ.

„ავიცრათ, ავცრათ ჩვენი მეგობრები, მშობლები, ოჯახის წევრები, ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა. ვაქცინები გვაქვს ადგილზე, ამას გარდა, ჩვენ უკვე დავუკვეთეთ სამკურნალო მედიკამენტებიც, რომელიც „ფაიზერმა“ შეიმუშავა, ვმუშაობთ „მერკის“ მედიკამენტზეც. პირბადის ტარება არის აუცილებელი, ეს არის პრევენციის და დაცვის საშუალება და ხალხმრავალი შეკრებებისგან თავის აცილება. კიდევ ერთხელ უნდა მოვუწოდოთ მოსახლეობას, ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცია და რაც მთავარია - ვაქცინაცია, ეს არის დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება, გავუფრთხილდეთ ჩვენს ახლობლებს და ოჯახის წევრებს“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ყველა გამოწვევისთვის მზად არის და „ომიკრონით“ ინფიცირების ზრდის შემთხვევაში ყველა მოქალაქეს ექნება ჰოსპიტალში განთავსების საშუალება. ამასთან, მინისტრმა განაცხადა, რომ რამდენიმე კვირაში ქვეყანაში კორონავირუსის სამკურნალოდ „ფაიზერისა“ და „მერკის“ წარმოების ახალი მედიკამენტები იქნება.

„ადგილზე გვაქვს მედიკამენტები, რითაც კოვიდინფიცირებულების მკურნალობას ვახორციელებთ. ასევე, შევუკვეთეთ და რამდენიმე კვირაში დამატებით გვექნება „ფაიზერის“ და „მერკის“ წარმოების მედიკამენტები, რომლებიც საკმაოდ დიდი ეფექტურობით გამოირჩევა. ჯანმოს ადგილობრივი ოფისის და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები ჰოსპიტლების ადგილზე მონიტორინგს ახორციელებენ როგორც ინფექციის კონტროლის, ასევე რეანიმაციის და კოვიდინფიცირებულების მკურნალობის კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს მოქალაქეებს მშვიდად და უსაფრთხოდ შეეძლებათ ჰოსპიტალში მკურნალობა. მნიშვნელოვანია ვაქცინაციის პროცესის აქტიურად გაგრძელება. მინდა მოქალაქეებს რეგულაციების დაცვისა და ხალხმრავალი შეკრებებისგან თავის შეკავებისკენ მოვუწოდო“, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

„ნაციონალებმა“ მიკროავტობუსებით მგზავრობის ტარიფის გაძვირება გააპროტესტეს

ბათუმში სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა მგზავრობის ღირებულება თვითნებურად, 70 თეთრამდე გაზარდეს, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. ტარიფის თვითნებურად გაზრდისთვის წელს ის 6 კომპანია დააჯარიმეს, რომლებსაც სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის ნებართვა აქვს, თუმცა მძღოლებს კვლავაც გამოკრული აქვთ მგზავრობის ახალი ფასი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ტარიფის გაზრდაში „ქართულ ოცნებას“ და ქალაქის მერს ადანაშაულებენ. რეზო ხარაზის თქმით, ოპოზიციას აქვს პრობლემის მოგვარების კონკრეტული გეგმა და წინადადება, რომლის გასაცნობადაც გუშინ ბათუმის მერიაში მივიდნენ, თუმცა არჩილ ჩიქოვანი კაბინეტში არ დახვდათ. ოპოზიციის განცხადებით, პრობლემის მოსაგვარებლად მუშაობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი. მერთან შესახვედრად მზად ვართ და აღნიშნულ გეგმაზეც ვისაუბრებთ. ეს საკითხი მძიმედ აწევს როგორც ბათუმელებს, ასევე მძღოლებს, ამიტომ დღესვე არის აუცილებელი მის მოსაგვარებლად მუშაობის დაწყება, სუბსიდირებით იქნება თუ სხვა სახით“, - აცხადებს რეზო ხარაზი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნოდარ დუმბაძის განცხადებით, ტარიფი მძღოლებმა მერიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით გაზარდეს და აქ არანაირ თვითნებურ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

„ბათუმის მერიის წარმომადგენლები შპს-ს წარმომადგენლებს შეხვდნენ და დაპირდნენ, რომ არჩევნების შემდეგ მოხდებოდა ტარიფის გაძვირება, ხოლო თუ ამ დაპირებას მერია არ შეასრულებდა, მძღოლები გაიფიცებოდნენ. ამიტომ მხარეები შეთანხმდნენ, წარწერა მიკროავტობუსებში 70-თეთრიან ტარიფთან დაკავშირებით, მოეხსნათ, ფასი არ მიეთითებინათ და მგზავრებს 70 თეთრი გადაეხადათ, თუ ვინმე გააპროტესტებდ, ის 50 თეთრს გადაიხდიდა. გამოსავლის ძიებაში არ არის ქალაქის მერია. ჩვენ გვაქვს რამდენიმე შეთავაზება, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, იგივე მოსაკრებლის გაწელვა, გაუქმება, სუბსიდირება. ეს ადამიანები არ მოდიან საკრებულოს სხდომებზე და ამ პრობლემაზე საუბარი არ უნდათ. ჩვენ მზად ვართ გამოსავალზე სასაუბროდ“- განაცხადა ნოდარ დუმბაძემ.

ელენე საყვარელიძე

შაბათ-კვირის ქრონიკა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბათუმში მძაფრი სუნის გავრცელების ფაქტზე საქმისწარმოება რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს. შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლების მიერ ზღვის დაბინძურების ფაქტი არ გამოვლინდა. აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორები ბათუმის პორტის უნაპირო ნავმისადგომზე ნედლი ნავთობით გემის დატვირთვის ფაქტს შეისწავლიან. შეგახსენებთ, ქალაქში, მთელი დღის განმავლობაში ტოქსიკური სუნი ვრცელდებოდა, რის გამოც, როგორც მოქალაქეები წერდნენ, თავის ტკივილები დაეწყოთ.

* * *

სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე ბათუმის მუნიციპალურმა ინსპექციამ სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანაზე პასუხისმგებელი ექვსივე შპს დააჯარიმა. აღნიშნულის მიზეზი კომპანიებზე დაქვემდებარებულ სამარშუტო ტაქსებში მგზავრთა გადაყვანის საფასურის 70 თეთრამდე თვითნებური გაზრდა გახდა. მუნიციპალურ ხაზებზე მოძრავ მიკროავტობუსებში მგზავრობის ტარიფს ქალაქის საკრებულო განსაზღვრავს და დადგენილების მიხედვით, მგზავრობის საფასური ამ დრომდე 50 თეთრს შეადგენს.

* * *

ყოროლისთავი-ბათუმის დამაკავშირებელი ჩახერგილი გზის აღდგენა მოითხოვეს ადგილობრივებმა. დაზიანებული გზით 7 სოფლის 300-ზე მეტი ოჯახი სარგებლობს. მათ აქვთ ალტერნატიული გზაც, თუმცა შემოვლითი გზით გადაადგილება დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ყოროლისთავში მცხოვრებნი ამბობენ, რომ გზის ეს მონაკვეთი ორი თვის წინ მოსული უხვი ნალექის შედეგად ჩაიხერგა. დაზიანებული გზის აღდგენის მოთხოვნით, მათ თვითმმართველობას არაერთხელ მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. ცნობისთვის, რეგიონში ორი თვის წინ მოსულმა უხვმა ნალექმა ათობით ოჯახი დააზარალა. ხელვაჩაურის მერიამ 100-ზე მეტი ოჯახი ქირით გაიყვანა.

* * *

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავი ვერ დაეშვა. ბათუმი-სტამბოლის რეისმა ქალაქს რამდენიმე წრე დაარტყა, თუმცა უამინდობის გამო, დაჯდომა ვერ შეძლო. არსებული ინფორმაციით, თვითმფრინავი ტრაპზონში გაფრინდა. მგზავრები ბათუმიდან - სტამბოლის მიმართულებით გამგზავრებას სამი საათის განმავლობაში ელოდებოდნენ.

ტყვიის შემცველობის კვლევა – უსასყიდლოდ

2018 წელს საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით ჩატარებული კვლევით ცნობილი გახდა, რომ აჭარაში ბავშვების 85%-ს სისხლში მომატებული ტყვიის შემცველობა აქვს. ტყვიასთან შეხებას ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემის დაზიანება შეუძლია. ბავშვებმა შეიძლება ტყვია მშენებლობის მტვერთან ერთად შეისუნთქონ, ითამაშონ დაბინძურებული პლასტმასის სათამაშოებით, საჭმელი მიიღონ ჭურჭლიდან, რომელშიც ტყვიაა, ან მათ საკვებშივე იყოს ტოქსიკური ნივთიერება. იმის გამო, რომ ტყვიასთან შეხების შემდეგ პაციენტს გამოკვეთილი სიმპტომები არ აღენიშნება, მოწამვლა ძალიან ხშირად შეუმჩნეველია.

არასამთავრობო ორგანიზაცია Pure EARTH-Georgia აჭარისა და გურიის მოსახლეობას საცხოვრებელ გარემოში ტყვიის შემცველობის კვლევას სთავაზობს. ორგანიზატორების ინფორმაციით, საცხოვრებელი სახლების, წყლის, ნიადაგის, საოჯახო ინვენტარის, საყოფაცხოვრებო და ოჯახში არსებული სხვა ტექნიკისა თუ ყოველდღიური სარგებლობის ნივთების კვლევა სრულიად უსასყიდლოდ Pure Earth-Georgia -ის პროექტის ფარგლებში - „დავიცვათ თითოეული ბავშვის შესაძლებლობები“ - ჩატარდება.

დაინტერესების შემთხვევაში, მოსახლეობას შეუძლია დაუკავშირდეს Pure EARTH-Georgia-ს საქართველოს ოფისს და დააფიქსიროს, რომ სურს საცხოვრებელი გარემოს გამოკვლევა ტყვიის შემცველობაზე.

ტყვიის ოდენობის განსაზღვრა სპეციალური პორტატული აპარატის მეშვეობით XRF მეთოდით ჩატარდება.

2021 წლის პოლიტიკური კალეიდოსკოპი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

როგორი იყო 2021 წელი საქართველოსთვის? რა პრობლემები გამოიკვეთა? რა გამოწვევები დგას ახლა ჩვენ წინაშე და როგორია მათი მოგვარების პერსპექტივები და საშუალებები? შევეცდებით, ყველა ამ კითხვას თანმიმდევრულად გუპასუხოთ

ტრადიციულად, ყველა ცდილობს, შეაჯამოს განვლილი პერიოდი, გადახედოს მომხდარ მოვლენებს და პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ობიექტურად შეაფასოს ეს წელი. ამ მხრივ თვალს თუ გადავავლებთ 2021 წელს, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შარლ მიშელის დოკუმენტზე ოპოზიციისა და მმართველი პარტიის ხელის მოწერა, რამაც საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ვითარება გარკვეულწილად დაასტაბილურა, ასევე მთავრობის მეთაურ გახარიას გადადგომა თანამდებობიდან. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით არჩევნებს და სააკაშვილის ჩამოსვლას ქვეყანაში. მისმა დაპატიმრებამ აჩვენა წლის განმავლობაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების კანონზომიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის დასაწყისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შიდა მოვლენებით არ იყო გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე პროცესებს, სადაც თავდაპირველად მხოლოდ მმართველი პარტია საქმიანობდა, რისი მიზეზიც ოპოზიციის თვალთახედვით 2020 წლის არჩევნების გაყალბება იყო. გაიმართა დემონსტრაციები, ექსპრეზიდენტმა მიმართა შიმშილობას და ა. შ. მმართველი პარტია ოპოზიციის შეფასებას არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით არ იზიარებდა და კოლეგებს პარლამენტში შესვლას ურჩევდა... ასე გრძელდებოდა დაახლოებით სამი თვე, თავდაპირველად პარლამენტში შევიდნენ „მოქალაქეები - ალეკო ელისაშვილი“, შემდეგ მას მიბაძა „პატრიოტთა ალიანსის“ სამმა ყოფილმა წევრმა, თავად ირმა ინაშვილი არ აღიარებს არჩევნების შედეგებს, თუმცა მარტო ამათი ყოფნა პარლამენტში ლეგიტიმაციის პრობლემებს ვერ მოუხსნიდა მმართველ გუნდს. კომპრომისზე წასვლას კი არცერთი მხარე (ოპოზიცია, მმართველი პარტია) არ აპირებდა. საქმეში ჩაერთო დასავლეთი. ფასილიტატორის როლი იკისრა ევროპარლამენტის თავმჯდომარე შარლ მიშელმა, რომელმაც აპრილის დასაწყისში პრეზიდენტ ზურაბიშვილის რეზიდენციაში შეკრიბა მმართველი პარტიის ლიდერები და ოპოზიციის წარმომადგენლები, კერძოდ, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“, „გირჩი“ და ცალკეული პოლიტიკოსები, მაგალითად, სალომე სამადაშვილი... ბევრი კამათისა და სჯა-ბაასის შემდეგ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერას დათანხმდა როგორც მმართველი პარტია, ისე ოპოზიციის ნაწილი, ამ შეთანხმების თანახმად კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თუ მმართველი პარტია გადალახავდა დათქმულ 43 პროცენტს, მაშინ რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარდებოდა. მოკლედ, შეთანხმება გაფორმდა, რამაც არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა ამ ხელშეკრულების გაფორმების მონაწილეები მოღალატეებად შერაცხა. „ორი თვე რომ მოეთმინა ოპოზიციას და ამ სამარცხვინო შეთანხმებაზე ხელი არ მოეწერა, მმართველი პარტია მნიშვნელოვან დათმობებზე წამოვიდოდა, მაგრამ ოპოზიციამ სულმოკლეობა გამოიჩინა და ხელისუფლებას მმართველობა გაუხანგრძლივა“, - აღნიშნა ნათელაშვილმა. ამის შემდეგ პროცესები უკვე შეუქცევადი გახდა, პარლამენტში რიგრიგობით შევიდნენ „ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრები, მერე თაკო ჩარკვიანი, გრიგოლ ვაშაძე და საბოლოოდ „ნაცმოძრაობაც“, რომელიც იძულებული გახდა, შეერთებოდა შარლ მიშელის დოკუმენტს, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ასეა თუ ისე, ცხადია, შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერამ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია დაასტაბილურა ადგილობრივ არჩევნებამდე.

ვიდრე ეს არჩევნები გაიმართებოდა, ქვეყანაში არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა მოხდა.

თებერვალში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გადადგა. მიზეზი, როგორც თავად გახარია ამბობს, მმართველ პარტიასთან გარკვეულ საკითხებში შეუთანხმებლობა იყო. ზოგადად, საქართველოს ისტორიაში პრემიერ-მინისტრის გადადგომა პირველი არ ყოფილა. რა ხდება პოლიტიკურ კულისებში, ეს ჩვენთვის კარგა ხანს უცნობი დარჩება, მაგრამ განსაკუთრებულად გაუგებარია ერთი საკითხი: ჩვენი პრემიერ-მინისტრები გადადგომის წინ ყოველთვის რაღაც დიდ გეგმებზე საუბრობენ. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სწორედ ისინი არიან ამ სტრატეგიული კურსის განხორციელების ავტორები, მაგრამ ასეთი განცხადების ფონზე ჩვენ ვიღებთ სრულიად სხვა შედეგს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრემიერ-მინისტრები ისე აკეთებენ განცხადებებს გადადგომის შესახებ, რომ არ ხსნიან რეალურ მიზეზებს. არ არის გამორიცხული, რომ პრემიერის გადადგომა შიდაპოლიტიკური დაპირისპირების შედეგი იყოს... ახალი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახდა, რომელმაც ეს თანამდებობა მეორეჯერ დაიკავა. არჩევნებამდე პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში გარკვეულწილად, სტაბილური იყო, თუ არ ჩავთვლით ნიკა მელიას რამდენიმეთვიან დაპატიმრებას, იგი, როგორც ამბობენ, დასავლეთის ჩართულობით გამოუშვეს.



ცხადია, წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო, არანაკლები რეზონანსი ჰქონდა სააკაშვილის ჩამოსვლას, შემდეგ მის დაპატიმრებას, შიმშილობას და საბოლოოდ გორის სამხედრო საავადმყოფოში მოთავსებას. ამ მოვლენებმაც ითამაშა თავისი როლი არჩევნების შედეგებზე. ექსპერტები აცხადებენ, რომ არჩევნები ორპოლუსიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში მეორე ტური გაიმართა და მაგალითად, წალენჯიხაში მერი ოპოზიციონერი გახდა. არჩევნებმა პოლარიზებულ ვითარებაში ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ გახარიას პარტიამ მესამე საპატიო ადგილი დაიკავა ათპროცენტიანი შედეგით. რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, მეორე ტურის გამართვასთან დაკავშირებით ორი სიმართლე გვაქვს: ერთი - თითქოს ეს იყო დემოკრატიის ზეიმი და 30 წლის განმავლობაში საქართველოში მსგავსი რამ არ მომხდარა, მეორე შემთხვევაში - ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა გარკვეული კითხვის ნიშნები დატოვა.

რა თქმა უნდა, ძალიან პოზიტიურად შეფასდა პრეზიდენტის ინიციატივა პოლიტიკურ სპექტრს შორის, კონსენსუსის მიღწევასთან დაკავშირებით. ამ მხრივ გამოწვევებია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ამ მიმართებით უკვე გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში როგორც უმრავლესობის წევრებთან, ისე ოპოზიციის ცალკეულ წარმომადგენლებთან. შეხვედრის სურვილი გამოთქვა „ნაცმოძრაობამაც“, რაც, ცხადია, მისასალმებელია, თუმცა ამ ეტაპზე შეთანხმების მიღწევა არარეალურად მიაჩნია არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების ნაწილს. მათი თქმით, ვიდრე რიგგარეშე არჩევნები არ დაინიშნება და სააკაშვილი არ გათავისუფლდება, უფრო სწორად, ობიექტური სასამართლო არ განიხილავს მის საქმეს, მანამდე ქვეყანაში სტაბილურობა არ დაისადგურებს. ამ ნიადაგზე „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე ლიდერმა და აქტივისტმა შიმშილობა დაიწყო მოთხოვნით სააკაშვილის გათავისუფლების თაობაზე, რაც ზოგიერთი ოპოზიციონერის აზრით, არასწორი სტრატეგიაა, თანაც პრეზიდენტის ინიციატივას შეთანხმების შესახებ ჩიხში აქცევს, სხვები კი პირიქით, თვლიან, რომ შიმშილობა ხელს არ უშლის მოლაპარაკებების პროცესს. ასეა თუ ისე, ცხადია ის, რომ პარლამენტი ერთპარტიული არ არის, ოპოზიცია, გარკვეულწილად, დაიშალა და ურთიერთბრალდებებით არიან დაკავებულნი, პრეზიდენტი ზურაბიშვილი მმართველი პარტიის და ოპოზიციის შერიგებას ცდილობს, რა გამოვა ამ საშვილიშვილო საქმიდან, მომავალი დაგვანახებს.

გადავიდეთ საგარეო პოლიტიკაზე. ვფიქრობ, 2021 წელს გლობალურ პოლიტიკაში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც ზოგადად, არ ახასიათებს საერთაშორისო სისტემას მისი არსებობის განმავლობაში. თუმცა 2021 წელი გლობალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანია იმ გარემოებით, რომ პანდემია კვლავ ბობოქრობს ჩვენს პლანეტაზე და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რეგიონში შეიქმნა „3+3“ ფორმატის კავშირი, რომელშიც გაერთიანდენ რუსეთი, ირანი, თურქეთი და ორი სამხრეთკავკასიური (სომხეთი, აზერბაიჯანი) ქვეყანა. ამ კავშირში საქართველოსაც ეპატიჟებიან. ბევრის აზრით, ეს გაერთიანება თავისი სულისკვეთებით ანტიდასავლური იქნება, ამიტომაც საქართველომ მას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს, მით უმეტეს, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და მცოცავ ოკუპაციას აგრძელებს. ეს წელი ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოებით, რომ ოფიციალურად დაიწყო ე. წ. ცივი ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის. უკრაინის კრიზისი ამის ნათელი დადასტურებაა. დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მიუთითებს, რომ რუსეთ-დასავლეთის ინტერესების დაახლოება შეუძლებელია.

რატომ გაჩაღდა ჰიბრიდული ცივი ომი? ექსპერტები აცხადებენ, რომ წარსულის „ცივი ომისგან“ განსხვავებით, ამჟამად დასავლეთი სრულმასშტაბიან კონფრონტაციაზე ვერ მიდის რუსეთთან. აკი თქვა ბაიდენმა, რომ თუ რუსეთი შეიჭრება უკრაინაში, ის მის საწინააღმდეგოდ სამხედროებს არ გაგზავნის, თუმცა ჯოჯოხეთური სანქციები ამოქმედდება, რაც რუსეთისთვის მომაკვდინებელი იქნება.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ვფიქრობ, არ შეცვლილა, საქართველოს კურსი კვლავ პროდასავლურია, ქვეყანა სხვადასხვა დასავლურ სამიტში მონაწილეობს, რაც მთავარია, ნატოს მდივანმა ამასწინათ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს გაერთიანებას ნატოში რუსეთი ხელს ვერ შეუშლის, თუმცა ისიც ცხადია, რომ რუსეთი ამ მიმართულებით ჩვენდა საზიანოდ აქტიურობს. მოკლედ, ქვეყნის უმთავრესი პრობლემა არის რუსეთი, რომელიც ძალიან ბევრ რამეს განსაზღვრავს პოლიტიკის, ეკონომიკის, თუ სოციალური მიმართულებით, მეორე - სუსტი ეკონომიკა, პოლარიზებული საზოგადოება და ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური სპექტრი. ეს სისტემური პრობლემები სხვა ქვეპრობლემებსაც განაპირობებს. მათ მოსაგვარებლად ხელისუფლებას ძალიან სერიოზული მუშაობა მართებს, ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეები დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან, მათი მოგვარება მნიშვნელოვნად განამტკიცებს ხელისუფლებისადმი ნდობას და უზრუნველყოფს ქვეყნის წინსვლა-განვითარებას.

უცხოეთი

ვაშინგტონი არ აპირებს ევროპის უსაფრთხოების საკითხის ევროპელი მოკავშირეების გარეშე განხილვას, - ამის შესახებ განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილე უენდი შერმანმა. როგორც მან აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატები რიგ ერთობლივ საკითხებს განიხილავს რუსეთთან სტრატეგიული სტაბილურობის დიალოგის ფარგლებში, თუმცა ეს არ იქნება ევროპის უსაფრთხოება. შერმანმა ასევე აღნიშნა, რომ რიგი საკითხების განხილვა გადაიდო 12 იანვრამდე, როცა ჩანიშნულია რუსეთ-ნატოს საბჭოს შეხვედრა ბრიუსელში და 13 იანვრამდე - ეუთოს მუდმივი საბჭოს შეხვედრამდე ვენაში.

* * *

გუშინ ჟენევაში, დახურულ ფორმატში, დაიწყო რუსეთსა და აშშ-ს შორის მოლაპარაკებები უსაფრთხოების გარანტიების თაობაზე. კონსულტაციების ძირითადი თემა საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების რუსეთის ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებლობა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე ნატოს შემდგომ გაფართოებაზე უარის თქმა და სამხედრო წვრთნების რაოდენობის შემცირება იყო. რუსეთის დელეგაციას ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრ ფომინი ხელმძღვანელობდნენ.

* * *

ყაზახეთში სიტუაციის გამწვავება არ არის სტიქიური აქცია, რომელიც უკავშირდება საწვავზე ფასის ზრდას, არამედ ესაა ჩარევა გარედან, რომელიც ყველა ჩვენგანს ეხება, - ამის შესახებ გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. როგორც „რია ნოვოსტი“ წერს, პუტინმა აღნიშნა, რომ „ყაზახეთი შეეჯახა საერთაშორისო ტერორიზმს და ქვეყანაში გამოყენებული იყო არეულობის მხარდაჭერის ისეთივე ტექნოლოგიები, როგორიც უკრაინული „მაიდანის“ შემთხვევაში“.

* * *

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ სატელეფონო საუბარი გამართა თავის ყაზახ კოლეგა მუხტარ ტლეუბერდისთან და განაცხადა, რომ პეკინი მომავალშიც მზადაა ნურსულთანთან თანამშრომლობისა და „პოლიტიკური უსაფრთხოების“ უზრუნველყოფისთვის. გარდა ამისა, მხარეები შეთანხმდნენ, იბრძოლონ ფერადი რევოლუციების ორგანიზატორების წინააღმდეგ. რუსული სააგენტოების ცნობით, ჩინეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ მზადაა გააძლიეროს ყაზახეთთან თანამშრომლობა სამართალდამცავი და უსაფრთხოების სამსახურების დონეზე.

* * *

პოლონეთ-ბელარუსის საზღვარზე სიტუაცია გამწვავდა, მიგრანტთა მხრიდან კი იყო შტურმის მცდელობა, - ამის შესახებ ინფორმაცია მესაზღვრეების მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა. მათივე ინფორმაციით, დღე-ღამის განმავლობაში ბელარუსის მხრიდან საზღვრის გადაკვეთის 49 მცდელობა დაფიქსირდა. პოლონეთის საზღვრის დაცვის სამსახურში განაცხადეს, რომ მიგრანტთა მხრიდან შტურმის მცდელობისას დაშავდა ერთი მესაზღვრე, რომელის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

რამაზ საყვარელიძის ვერსიით, სააკაშვილი ქართულ ციხეში უკრაინელ ოლიგარქებს ემალება

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

ახალი წლის დღეებში თითქოს გამოეთიშა საქართველო პოლიტიკურ ბატალიებს, აღარავინ ინტერესდებოდა, რა ჭამა მიშამ ან რას აპირებენ მისი თანამებრძოლები... მაგრამ ჯერ ყაზახეთში მიმდინარე არეულობამ ისევ დაგვაბრუნა მწარე რეალობაში, შემდეგ კი დაიწყო უყურადღებოდ მიტოვებული ექსპრეზიდენტის პრეტენზიების განხილვა, რაც საინიციატივო ჯგუფის „მიშას სექტორის“ მიერ „დაუმორჩილებლობის ჯგუფების“ შექმნის დაანონსებამ დააგვირგვინა. მათი განცხადებით, ბრძოლას მთელი ქვეყნის მასშტაბით გააგრძელებენ, სანამ საქართველოს ექსპრეზიდენტი არ გათავისუფლდება. ამ ჯგუფის წარმომადგენელმა ლევან მერებაშვილმა გააკრცელა განცხადება: „ვთავაზობთ ფართო გაერთიანებას იმ ადამიანებს, ვისაც ყველა კანონიერი ქმედების ფარგლებში რეჟიმის დამხობის სურვილი აქვს. რეგიონებში დავიწყებთ მოძრაობას თანამოაზრეებთან ერთად, რომელიც გაიშლება ქვეყნის მასშტაბით. უახლოეს დღეებში დედაქალაქში დაუმორჩილებლობის ჯგუფები შეიქმნება. ეს იქნება მრავალი ჯგუფი და საზოგადოებაც იხილავს, რომ ამისთვის მზად ვართ და ბოლომდე ვიბრძოლებთ“. მისივე თქმით, დაუმორჩილებლობის ჯგუფები ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწყობენ როგორც „სირცხვილის კორიდორებს“, ასევე სხვადასხვა უწყებასთან მივლენ.

ამ საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ***რამაზ საყვარელიძესთან****, რომელიც იხსენებს სააკაშვილთან მუშაობის წლებს და საკმაოდ განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგენს ექსპრეზიდენტს.*

- ბატონო რამაზ, უპირველესად, გილოცავთ შობა-ახალ წელს, საუკეთესო სურვილებით.

- ძალიან დიდი სიყვარულით გპასუხობთ ამ მოლოცვაზე. 35 წელიწადზე მეტია, რაც თქვენთან, ჟურნალისტებთან ურთიერთობა მოსდევს ჩემს ცხოვრებას და ჩემი არსებობის, შრომის და თვითგამოხატვის ნაწილად იქცა. აქედან გამომდინარე, მინდა გულით მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და წარმატებები ვუსურვო გაზეთ „აჭარას“, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობ ამ ბოლო დროს.

- საახალწლო მეჯლისების და დროსტარების შემდეგ, კვლავ გააქტიურდა პოლიტიკური ცხოვრება, ისევ დადგა დღის წესრიგში სააკაშვილის და მისი მომხრეების განცხადებები. რას ფიქრობთ ამ ბოლო დღეებში დაანონსებულ „დაუმორჩილებლობის ჯგუფების“ შექმნასა და პატიმარ სააკაშვილის მიმართვებზე?

- მინდა გავიხსენო ჩემი ცხოვრების ერთი მონაკვეთი, რომელიც ექსპრეზიდენტთანაა დაკავშირებული. სააკაშვილი ზურაბ ჟვანიამ 1995 წლის პარლამენტში მოიწვია. მას იმ დროიდან ვიცნობ. სოსო კირთაძესთან და სხვა კოლეგებთან ერთად, პარლამენტის პოლიტიკური მრჩევლების ჯგუფში ვიყავი, კარგად გავიცანი მაშინდელი შემადგენლობა. ამიტომ ჩემთვის მიშა მხოლოდ ის ფიგურა არ არის, რაც ამ ბოლო დროს აირეკლა ჩვენს პოლიტიკაში.

- როგორი იყო მაშინდელი მიხეილ სააკაშვილი?

- მიხეილ სააკაშვილი გამოირჩეოდა გონიერებით, სხარტი აზროვნებით, დამოუკიდებელი ანალიზის უნარით და საკუთარი გადაწყვეტილებების რეალიზაციით. ერთხელაც, ჰოლანდიაში გავემგზავრეთ პარლამენტარების ჯგუფთან ერთად. ზურაბ ჟვანიამ როდესაც შთაბეჭდილებების გაზიარება მთხოვა, ჰოლანდიაზე გავლექსე, შემდეგ პარლამენტარებიც მოიკითხა და მე ვუპასუხე: მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მომავალი პრეზიდენტია. „საიდან მოიტანე, შენ ხომ არ გადაირიეო?!“, - შეიცხადა ზურამ.

- მაინც რა შეამჩნიეთ ასეთი?

- მას აზროვნების და მოქმედების ისეთი სტილი ჰქონდა, მსგავსი უნარებით გამორჩეული ადამიანები, როგორც წესი, პოლიტიკაში მიზანს აუცილებლად აღწევენ. ამ ფონზე, ჩემთვის გაუგებარია მისი საქციელი, მისი განცხადებები, ქცევა, მოწოდებები, სასამართლოზე ასეთი სიტყვით გამოსვლები, რომელმაც მის ადეკვატურობაში ეჭვი შეგვატანინა.

- მისი აქ ჩამოსვლაც გაუგებარი იყო...

- დიახ, ჩამოვიდა საქართველოში, თავისით ჩაბარდა პოლიციას, დიდ ხანს არც აძებნინა თავი და მშვიდობიანად, საკუთარი ნებით (შეიძლება ასეც ვთქვათ) ჩაჯდა ციხეში და ახლა იქიდან ისვრის რეპლიკებს, ხან შიმშილობისკენ მოუწოდებს ხალხს, ხან დაუმორჩილებლობისკენ უბიძგებს და არეულობის აგორებას აპირებს. არ არის მიხეილ სააკაშვილი ისე მოწყვეტილი რეალობას, როგორც ეს შეიძლება ერთი დანახვით მოგეჩვენოთ. საკმაოდ პრაგმატული და რეალისტურად მოაზროვნე ტიპია. ხშირად აკეთებს ისეთ მანევრებს, როდესაც გაიფიქრებთ, ეს კაცი მთლად დალაგებული ვერაა, მაგრამ მშვიდ ურთიერთობაში რომ ნახავთ, აბსოლუტურად შეგეცვლებათ წინა შთაბეჭდილება. პირიქით, დარწმუნდებით, რამდენად საღი განსჯის უნარი აქვს და როგორი გაწონასწორებულია მსჯელობებში. აქედან გამომდინარე, როდესაც ვიხსენებ მის რეალურ მონაცემებს და ვიცი რისი გამკეთებელია, ამ ქცევებს და განცხადებებს ვერაფრით ვხსნი.

- შესაძლოა, ეს ყველაფერი შირმაა, მაგრამ მაშინ რაში დასჭირდა აქ ჩამოსვლა და ციხეში ჩაჯდომა?

- შესაძლოა შირმაც იყოს და ამის უკან უფრო დიდი რამ იმალებოდეს, რისი გაშიფრვაც ახლა შეუძლებელია. რადგან ვერ ვხსნით ამას, იმიტომ მიგვაჩნია მისი საქციელი არაადეკვატურად, თორემ თავად რომ ადეკვატურია ახლაც, ამაში ეჭვი არც მე მეპარება და არც იმათ, კარგად რომ იცნობენ მიშას ექსტრავაგანტულ მანერებს, რომლის უკან აუცილებლად დგას უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ამბობენ, ვერ გათვალა, შეეშალა, არ ელოდა რომ დაიჭერდნენ, უსუსური ეგონა ეს მთავრობა, მაგრამ მაგარი გამოდგა და სხვ. რა დიდი გათვლა და შორსმჭვრეტელობა უნდოდა იმას, რომ ჩამოვიდოდა და დაიჭერდნენ, თანაც არ ემალებოდა. ამიტომ დიდად დამაჯერებლად არ მეჩვენება ეს მოარული ვერსიები.

- თქვენი ვერსია როგორია?

- მე მგონია, უფრო უკრაინაშია ძაღლის თავი დამარხული. სააკაშვილი იქ ბევრ ოლიგარქს დაუპირისპირდა და არაა გამორიცხული, ისეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, იქიდან გამოქცევა დასჭირდა, ხოლო დევნის პროცესში ყველაზე უსაფრთხო ადგილი - ციხეა. ასე რომ, ის საქართველოში კი არ გადმოიპარა საზღვარზე, პირიქით, უკრაინიდან გამოიპარა და ერთადერთი ქვეყანა, სადაც მას მაშინვე მოძებნიდნენ, ადგილს მიუჩენდნენ და ყურადღების ცენტრში მოაქცევდნენ, ცხადია, საქართველო იყო. აქ მას მართლაც არაფერი ემუქრება, რადგან კარგად იცავს მთავრობაც და მისი მხარდამჭერებიც, ანუ ადვილად ვერ მისწვდება ვერავინ.

- მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს მოსახლეობა: ინფლაცია, ტარიფების ზრდა, უმუშევრობა, სოციალური ფონის გაუარესება ზრდის ხალხის უკმაყოფილებას მთავრობის მიმართ. რას ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს „ქართული ოცნება“ ამ სიტუაციაში, თან, ყაზახეთის ამბებსაც თუ გავიხსენებთ...

- რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იქნება მოსახლეობა, რადგან მართლაც უმძიმესი სოციალური ფონია, მაგრამ იგივე ყაზახეთის ამბებს თუ შევეხებით, ვნახეთ, რაც გამოიწვია ბუნებრივი აირის გაძვირებამ, მაგრამ მეეჭვება, იგივე სცენარის განმეორება აქ ვინმეს მოუნდეს. ყველას გვეგონა, ყაზახეთში სტაბილური ვითარება იყო ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ როგორც ახლა აღმოჩნდა, სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე და ამ უკმაყოფილებას გაცილებთ ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე კომუნალური ხარჯების გაძვირება.

აქედან გამომდინარე, არ მგონია ხალხი ქუჩაში გამოვიდეს მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოსწონს „ქართული ოცნების“ რეჟიმი. ასეა თუ ისე, მმართველი გუნდი ქვეყანაში მშვიდობას და სტაბილურობას ინარჩუნებს. თან ისიც ვისწავლეთ ქართველებმა, რომ არმოწონების გამო არეულობის შექმნა და დაუმორჩილებლობა, ახლა რომ „მიშას სექტორი“ აანონსებს, ქვეყანას დაანგრევს. სტაბილური გზით „ქართული ოცნების“ შეცვლა არის არჩევნები. ამისთვის კი ალტერნატიული პარტია უნდა გყავდეს. მსგავსი ძალა ჯერჯერობით არ ჩანს. მხოლოდ ერთი პოლიტიკური გაერთიანებაა კონკურენტუნარიანი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ეს კინო ნანახი გვაქვს. დანარჩენი კი ძალიან სუსტი, პატარა პარტიებია. ასე რომ, იქმნება სიტუაცია, როდესაც შესაძლებელია ხელისუფლება არ მოსწონთ, მაგრამ სხვა რადგან არ ჩანს, ურჩევნიათ დაელოდონ. იმედი ვიქონიოთ, რომ 2024 წლისთვის საქართველოში გაჩნდება პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც კონკურენტუნარიანი გახდება, მიიზიდავს თავის რიგებში ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, ვინც ნდობას მოიპოვებს საზოგადოებაში და თავისთავად, ელექტორატსაც გაიჩენს. ჯერჯერობით, არაფერი მსგავსი არ დაფიქსირებულა ქართულ პოლიტსივრცეში. ვნახოთ, როგორ და რა იქნება.

- შევა თუ არა პარლამენტში შალვა ნათელაშვილი, საკუთარ მანდატს ფეისბუქმომხარებელს რომ ანდობს - ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გამოკითხვას სოციალურ ქსელში ჩაატარებს. რატომ გადაწყვიტა შალვა ნათელაშვილმა 2020 წელს მიღებული მანდატის 2022 წელს გამოყენება?

- რა გითხრათ, აბა, ხან რას აცხადებენ და ხან რას. კარგი, შევლენ ლეიბორისტები პარლამენტში, შემდეგ რა მოხდება? გაქვთ კი იმის იმედი, რომ ნათელაშვილის პარლამენტში შესვლა მას და მის პარტიას უფრო პროდუქტიულს გახდის, რომ მისი საკანონმდებლო ორგანოში შესვლის სურვილი კანონებსა და ცვლილებებზე მუშაობისკენ ლტოლვაა?.. არ ტოვებს ეს მსგავსი ცვლილებების შთაბეჭდილებას და ამიტომ ცოტა ძნელია იმაზე ლაპარაკი, რა განზრახვით მიემართება პარლამენტისკენ.

- ენმ ითხოვს სააკაშვილის ღირსების შემლახავი კადრების გამოქვეყნებაში დამნაშავის გამოსავლენად შეიქმნას კომისია, ასევე სურს სამედიცინო დასკვნის მიღება, რომ ექსპრეზიდენტს არ უკეთებენ ფსიქოტროპულ პრეპარატებს, არ აგიჟებენ და ა.შ. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, არ შეწყვეტენ ბოიკოტს და არ შევლენ პარლამენტში.

- ისინი, ცხადია, ამაში ხელისუფლებას სდებენ ბრალს. იქნებ თავად ოპოზიცია აგიჟებს საკუთარ ლიდერს? ისეთ მოლოდინს უჩენს, თუნდაც იმით, რომ თუ არ შეასრულებს ხელისუფლება მოთხოვნებს, გამოვალთ ქუჩაში და მთელი საქართველო გვერდით დაგვიდგებაო, რომ ისიც ემოციებს ჰყვება. ცხადად კი რა მდგომარეობაა, ყველამ ვიცით, არავინ აღელვებულა არც მათ შიმშილობაზე და არც ქუჩაში გამოსულა ბევრი მათივე მომხრე. აღარ მოსწონთ ქართველებს ქუჩაში დგომა და არაფრის მაქნისი აქციები, რითაც საკუთარ ჯანმრთელობას ილახავენ მხოლოდ.

- რას იტყვით ყაზახეთში მიმდინარე შეტაკებებსა და იქ რუსეთის ჯარების შესვლაზე?

- არ ვიცი, რა ვთქვა, იმდენად ჩახლართული სქემაა, რომ აქედან რთული გასარკვევია, სინამდვილეში რა ხდება იქ. თვითონ ყაზახეთის პოლიტიკური ლიდერების ერთმანეთთან ურთიერთობა იმდენად ქაოსურია, რომ წარმოუდგენელია გაარკვიო, ვინ ვისკენ იხრება და რა სურს. არის კიდევ სხვა ვერსია - გვახსოვს, თავის დროზე ავღანეთში თალიბებმა ისევ რომ მიიღეს ლეგიტიმაცია, გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთი, რადგან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ახალი თალიბების ხელისუფლება, მით უმეტეს, რომ კანონგარეშედ ჰყავდა ისინი გამოცხადებული. მაგალითად, თავად თალიბებს რომ მოუნდეთ რუსეთში შეჭრა (რაც არ არის გამორიცხული), მათ მოუწევთ, სწორედ ყაზახეთის ტერიტორიაზე გავლა. იყო ეჭვი, რომ ნაზარბაევს სურდა ისლამის გაძლიერება და თუ ეს მოხდებოდა, შესაძლებელი იყო, სრულიად უმტკივნეულოდ დაეთმო სტრატეგიული დერეფანი თალიბებისთვის, რაც უკვე სახიფათო რეალობა იქნებოდა რუსეთისთვის. ამიტომ, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რუსეთს სურს საბჭოთა ტერიტორიების აღდგენა თუ ემზადება აზიურ ნაწილში ჯარების გადაადგილებისთვის. თუკი ეს ბოლო ვერსიაა მართალი, მაშინ საკითხავია, ამდენი სისხლი რატომ დაღვარა, პირდაპირ მოეშორებინა ნაზარბაევი, მაგრამ რუსეთი რუსეთია და დაღვრილი სისხლი დიდად არ ადარდებს, არც საკუთარი და არც სხვისი.

- თუკი ჩრდილოელი მეზობელი აპირებს საბჭოეთისდროინდელი ტერიტორიების დაბრუნებას, საქართველოს რამდენად შეეხება ეს?

- ამაზე მახსენდება ვერსია, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირი დაშალა თვითონ რუსეთმა, ვინაიდან ვეღარ შეძლო და არც უნდოდა 15 რესპუბლიკის კვება. ამას ურჩევდნენ მაშინდელი ანალიტიკოსები, რადგან რუსეთი მთელ საბჭოთა სივრცეს აძლევდა რკინას, პურს, ხე-ტყეს, მადნეულს და სხვ. ეს ძალიან აძაბუნებდა ქვეყნის ეკონომიკას. ამას დავუმატებ, რომ იმ პერიოდში, რუსეთის მთელი ჯარი მუსულმანებისგან შედგებოდა, რაც უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ კონტროლი დაეკარგა საბჭოეთზე და გამხდარიყო ერთ-ერთი რიგითი „ძმა“. ამ ფონზე, თუკი ჯარს და ქონებას დაკარგავდა, რატომ უნდა შეენარჩუნებინა რუსეთს საბჭოთა კავშირი? თუკი მაშინ მართლაც ამ მიზეზებით მოხდა იმპერიის რღვევა, ახლა რატომ უნდა აღადგინოს? მით უმეტეს, ეკონომიკურად მაშინ უფრო ძლიერი იყო რუსეთი, ვიდრე ახლა. ასე რომ, საბჭოეთის აღდგენის ვერსია, სერიოზულად არ გამოიყურება. მით უმეტეს, ჩვენ ვნახეთ ბელარუსთან, სომხეთთან თუ აფხაზეთთან მიმართებაში რა მოხდა. აფხაზების თხოვნის მიუხედავად, ისინი არც კი შეიერთა. ერთადერთი, ყირიმი არ დაამო იმიტომ, რომ თავისი ტერიტორიების მოვლა სჭირდებოდა. რაც შეეხება კითხვას, „საქართველოს რა ეშველება“, ამას სულაც არ სჭირდება საბჭოთა კავშირის აღდგენა, საქართველო ისედაც ცუდ დღეშია, 20% აქვს დაკარგული. იგივე მდგომარეობაშია უკრაინაც. რუსეთს ორივე გამოჭერილი ჰყავს, არც სურს ამ ორი ქვეყნის მიერთება. როდესაც ტერიტორიების დიდ ნაწილს აკონტროლებს, თავისუფლად ვეღარ იმოქმედებს ესა თუ ის ქვეყანა.

საით წავა მსოფლიო და რით უპასუხებს აშშ და ნატო რუსეთს?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა ახალ ფაზაშია მას შემდეგ, რაც კრემლის მხრიდან ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ ულტიმატუმი გაჟღერდა ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოებასთან დაკავშირებით. ამ ფონზე, ახალი დატვირთვა შეიძინა ძველმა კითხვებმა: რის ფასად არის შესაძლებელი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, ანუ გაითვალისწინებს თუ არა აშშ კრემლის კატეგორიულ მოთხოვნას საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ნატოში არგაწევრიანების თაობაზე. თუ დასავლეთი არ დათანხმდება კრემლის ულტიმატუმს, რას მოიმოქმედებს იგი, თუნდაც უკრაინასთან მიმართებით? ამ კითხვებს პოლიტოლოგები არაერთგვაროვნად პასუხობენ...

კაცობრიობის ისტორიამ დღემდე არაერთი დრამატული, მღელვარე პროცესი გაიარა, როგორც ამბობენ, ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, ახალი მსოფლიო ეკონომიკა, და, რა თქმა უნდა, ზესახელმწიფოები ცდილობენ პოზიციები გაიმყარონ სხვადასხვა რეგიონში, გაანეიტრალონ კონკურენტი სახელმწიფოს გავლენა ამა თუ იმ ქვეყანაზე. ამ მხრივ აქტიურობს რუსეთი და, როგორც ვთქვით, დასავლეთს ულტიმატუმს უყენებს...

აშშ-ს პრეზიდენტი ჯო ბაიდენი 2 იანვარს ტელეფონით ესაუბრა ვლადიმერ ზელენსკის და განუცხადა, რომ

„ რუსეთმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია შუა აზიაში - ყაზახეთში ფაქტობრივად, რუსეთის ჯარი განლაგდა. გარდა ამისა, ყაზახეთის ხელისუფლება მასზე დამოკიდებული გახადა. ამ მხრივ საშინელი პრეცედენტია, რომ რუსეთმა აბსოლუტურად ლეგიტიმურად შეიყვანა ჯარი მეზობელ ქვეყანაში, კიდევ უარესია ის, რომ ამ შემთხვევაში პირველად, მთელ პოსტსაბჭოთა ისტორიის განმავლობაში მოსკოვმა ფორმალურად, კოალიციის ჩამოყალიბება შეძლო, ყაზახეთში ბელარუსის, სომხეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის შეიარაღებული ძალები განლაგდნენ

თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება, აშშ პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად, რუსეთს „გადამწყვეტი მოქმედებებისთვის უპასუხებენ“. ამ მხრივ საყურადღებოა ნატოს ყოფილი ხელმძღვანელის პოზიცია, ის წერს, რომ აშშ-მ და ნატომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცენ პირობები ალიანსის სამომავლო გაფართოებასთან დაკავშირებით. „დროა აამოქმედოთ ნატოს სამოქმედო გეგმა საქართველოს და უკრაინასთან მიმართებით“. რამდენად გაითვალისწინებს აშშ და ზოგადად, დასავლეთი, ნატოს ყოფილი ხელმძღვანელის პოზიციას, მომავალი დაგვანახებს.

მანამდე კი რუსეთმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია შუა აზიაში - ყაზახეთში ფაქტობრივად, რუსეთის ჯარი განლაგდა. გარდა ამისა, ყაზახეთის ხელისუფლება მასზე დამოკიდებული გახადა. ამ მხრივ საშინელი პრეცედენტია, რომ რუსეთმა აბსოლუტურად ლეგიტიმურად შეიყვანა ჯარი მეზობელ ქვეყანაში, კიდევ უარესია ის, რომ ამ შემთხვევაში პირველად, მთელ პოსტსაბჭოთა ისტორიის განმავლობაში მოსკოვმა ფორმალურად, კოალიციის ჩამოყალიბება შეძლო, ყაზახეთში ბელარუსის, სომხეთის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის შეიარაღებული ძალები განლაგდნენ, რაც მანამდე არცერთ კონფლიქტში არ მომხდარა. ახლა არ ჩამოვთვლი იმ მიზეზებს და გარე აქტორების როლს ყაზახეთის ამასწინანდელ მოვლენებში, უბრალოდ მოკლედ ვიტყვი: შიდა კლანურმა დაპირისპირებამ, ჩინოვნიკების მექრთამეობამ და ადგილობრივი უშიშროების სამსახურის უუნარობამ ეს უმდიდრესი ქვეყანა კატასტროფის წინაშე დააყენა. ამ შემთხვევაში, დასავლეთი ფაქტობრივად განდევნილი აღმოჩნდა ამ რეგიონიდან, ანდა კარტ-ბლანში გაუხსნა რუსეთს პოზიციის გასამყარებლად ამ რეგიონში. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა, რუსეთი ზეიმობს, დასავლეთი შეშფოთებას გამოხატავს, ყაზახეთმა კი გარკვეულწილად არა მარტო ეკონომიკური ზარალი ნახა, რომ არაფერი ვთქვათ, ასობით გარდაცვლილზე, არამედ სუვერენიტეტიც შეიზღუდა - რუსი სამხედროები თუ როგორი მშვიდობისმყოფელები არიან, ქართველებმა და მოლდაველებმა საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადეს. ამ მხრივ კერძო ანალიტიკური ორგანიზაცია „სტრატფორი“პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის გაზრდას ჯერ კიდევ ათი წლის წინ პროგნოზირებდა...

აშკარაა, რომ რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუ დავაკვირდებით ბოლო 15 წლის პროცესებს, კარგად დავინახავთ, რუსეთის ფედერაციამ შეძლო პოზიციების გამყარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით, ასევე არაღიარებული ტერიტორიების ცნება შემოიტანა საერთაშორისო არენაზე (როგორიცაა დონეცკისა და ლუგანსკის ტერიტორიები), დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ფაქტობრივად, ევრაზიის, აზიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის როლი იზრდება. მან ბოლო 15 წლის განმავლობაში პოზიციები გაიმყარა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ახლო აღმოსავლეთშიც. საგულისხმოა ისიც, რომ კრემლის რიტორიკა ხდება აგრესიული და დამცინავი დასავლეთთან მიმართებითაც. ამ მხრივ რუსული პროპაგანდა ავითარებს აზრს, რომ ნატო და ევროკავშირი აღმოსავლეთ არ გაფართოვდებიან, რაც ექსპერტთა თქმით, არასწორია, რადგან ამ ორგანიზაციებს გრძელვადიანი სტრატეგია გააჩნიათ გაფართოების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ევროკავშირი და ნატო მიზანმიმართულად ცდილობენ, რომ მათი როლი გაძლიერდეს მსოფლიოში და ურთიერთობები გაამყარონ იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც პარტნიორებად ირჩევენ. მათ არეალში, უპირველესად, ჩვენი ქვეყანა მოიაზრება. ამიტომ ითხოვს რუსეთი დასავლეთისგან, მას ვეტოს უფლება ჰქონდეს ნატოს (პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან) გაფართოებასთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნა რუსეთს თითქმის 15 წელია აქვს, რაც დასავლეთმა არ შეასრულა. იქნება ხვალ ან ზეგ, არავინ იცის. როგორც ცნობილია, პოლიტიკაში მთავარი ინტერესებია. ამ ინტერესების ერთობლიობას თავის დროზე შეეწირა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი. თუმცა ამჟამად გვაიმედებენ აშშ და ნატო, რომ საქართველოს საზიანოდ რუსეთს არ გაურიგდებიან... ვიდრე დასავლეთი გვაიმედებს და რუსეთი ულტიმატუმს უყენებს აშშ-ს და ნატოს, მანამდე კრემლი დროს არ კარგავს და საქართველოში პროპაგანდისტულ კამპანიას აწარმოებს, თითქოს ნატო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხარჯზე არ გაფართოვდება და სჯობს ისევ მასთან გამოვნახოთ საერთო ენა, ანუ გვირჩევს დავივიწყოთ დასავლეთი. ამასვე ქადაგებენ გარკვეული პოლიტიკური ძალები საქართველოში. არადა, ამგვარი კაპიტულანტური პოზიციის დაკავებით, უნდა ვიცოდეთ, რომ დავკარგავთ ევროპის მხარდაჭერას, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის დამანგრეველი აღმოჩნდება. ვინც ფიქრობს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ევროპაზე და ზოგადად, დასავლეთზე, არასწორია, რადგან ეს ქართული სახელმწიფოსთვის დამღუპველი იქნება და დაგვაბრუნებს 90-იან წლებში, როცა ჩვენთვის არავის ეცალა, რაც კრემლმა სათავისოდ გამოიყენა.

ეს კვირა გარკვეულწილად მრავალ კითხვას გასცემს პასუხს, ანუ თუ არ დათანხმდება დასავლეთი კრემლის ულტიმატუმს ნატოს არგაფართოებასთან დაკავშირებით, რას მოიმოქმედებს კრემლი და რით უპასუხებს აშშ? ამას, როგორც აღვნიშნე, მომავალი დაგვანახებს. ცხადია, პუტინი შეეცდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე რუსეთის გავლენა გაზარდოს, იგი თავისი გეგმების მაქსიმუმს გააკეთებს, ამიტომ საკმაოდ რთული პერიოდი გველოდება. რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ჩვენ ხაფანგს არ უნდა წამოვეგოთ, რაც მთავარია, მეტად შევახსენოთ მსოფლიოს ჩვენი პრობლემები, ყველა დონეზე უნდა ვილაპარაკოთ ამაზე, რათა რუსეთის ხელახალი აგრესიის სამიზნე აღარ გავხდეთ.

ხუმრობით - სერიოზულზე

საახალწლო ნაღვლიანი ზღაპარი – პატიმარ ექსპრეზიდენტსა და მის ერთგულ თანაპარტიელებზე

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

დიდხანს იმუქრებოდა სააკაშვილი ჩამოსვლით, იმდენად დიდხანს, რომ აღარავის სჯეროდა, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე... ჩამოვიდა!!! თანაც როგორ - ხაჭოს, რძის და არაჟნების კომუფლაჟით. გაიარ-გამოიარა, ვიდეოც გადაიღო, ჩვენებური არაყიც გადაკრა, იდუმალი კადრები ქვეყანას გაუზიარა და... მომღიმარი, უდარდელი სახით მიაბრძანეს ციხეში.

კარგა ხანს იკვლევდნენ მისი მოულოდნელი ვიზიტის მიზეზს. „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებდა, ქვეყანაში დესტაბილიზაციას მოერიდა, არავის გვითხრა და თავისით ჩაბარდაო.

ივანიშვილის და გახარიას მიერ მიტოვებული, გაურკვევლობაში მყოფი „ქართული ოცნება“ სიხარულით აღარ იყო, ასეთ საჩუქარს ვინ ელოდა?!. ვიდეოს გავრცელებაზე იძახდნენ „ფეიკია“, სადღაც ზღვისპირას აქვს გადაღებული და როგორც ყოველთვის, გვაგიჟებსო. შემდეგ კი, როდესაც აიყვანეს, 007 აგენტივით იქცეოდნენ და ფრთხილად უშვებდნენ ინფორმაციებს: უკრაინიდან მოვყვებოდით, ვიცოდით მისი გზა-კვალი და უსაფრთხოდ ავიყვანეთ, არც ისე უნიათოები ვყოფილვართ, მას რომ წარმოედგინაო... ამ განცხადებაში ერთი რამ არის გაუგებარი, თუკი ამდენი იცოდნენ, რატომ მისცეს სეირნობის საშუალება, რა გარანტია ჰქონდათ, რომ მისი პარტიის წევრები, უკრაინული ანალოგით, ხელში ატატებულს არ შეიყვანდნენ ჩაის დასალევად პირდაპირ პარლამენტში?

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება - მიშამ ვერ თუ არ გათვალა შემდგომი ნაბიჯები და ოთხ კედელში გამომწყვდეული აღმოჩნდა. კაცი, რომელსაც ადგილზე ვერ ამაგრებდნენ, ხან ტრაქტორზე იყო მომჯდარი, ხან ავტობუსზე, ზამთარში ბათუმში ცივ ზღვაში ბანაობდა ან ვერტმფრენით დაფრინავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ჩარტერული რეისებით ბოდრუმის პლაჟებს ან პირამიდებს ლაშქრავდა, გლდანის საპატიმროში შერჩა, თანაც დიდი ხნით.

თავდაპირველად, ექსპრეზიდენტს საკანში არ მოუწყენია, ცოლების, შვილების და თანაპარტიელების მთელი არმია დაესია. პოლიტიკურად გაცოცხლდა კაცი. ხან ერთს ესიყვარულებოდა, ხან - მესამეს, მაგრამ დრო მიდიოდა, თავისუფლება კი არ ჩანდა. არადა, რა იმედი ჰქონდა: მოიგებენ ჩემი ბიჭები, მიშელის დოკუმენტიც აგერაა, უვადო არჩევნები დაინიშნება და წითელ ხალიჩას დამიფენენ, ზარ-ზეიმით გამომიყვანენ ციხიდანო.

„მისი ბიჭები“ ეცადნენ რაც შეეძლოთ, ქვეყნის მესამე პრეზიდენტის ჩამოსვლით გულმოცემული ზედმეტი მომხრეც წაადგათ, მაგრამ სააკაშვილს დაავიწყდა საკუთარი იმიჯი, რომლის წყალობითაც ისევ „ქართული ოცნების“ ოცნება გამართლდა. არიქა, მიშა დაბრუნდა ცოცხებითო და ხელისუფლებაზე ზურგშექცეულმა ხალხმა რეალობას ოცნება ამჯობინა. მობრუნდა და... არც მეტი, არც ნაკლები, მთელი 47% მისცა მმართველ გუნდს, რომელიც მიშელის დოკუმენტისგანაც და ოპოზიციის წაყვედრებისგანაც ერთბაშად გამოთავისუფლდა.

ლიდერთან პირშერცხვენილმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წაგებული არჩევნების გასამართლებლად, როგორც ყოველთვის, ახლაც გაყალბება მოიშველია, აქტიურად დაიწყო საკრებულოების დალაშქრვა და თვითმმართველობის სტრუქტურების ბოიკოტირება.

იფიქრა მიშამ, იფიქრა და... შიმშილობა მოიფიქრა. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. ყველა დღე სააკაშვილით თენდებოდა და ღამდებოდა. ჯერ კოვიდით გარდაცვლილთა სტატისტიკა გადიოდა, შემდეგ კი სააკაშვილის საუზმისა და ვახშმის მენიუ. ღარიბაშვილი ყველა ლუკმას უთვლიდა და საქვეყნოდ აცხადებდა, რამდენი კგ თაფლი შეჭამა ან რისი წვენები დალია მოშიმშილე ექსპრეზიდენტმა. ამანაც რომ არ უშველა ნაციონალების მმართველს, გასცა ბრძანება და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მისი მომხრე საექიმო გუნდი დააყენა ფეხზე. საპატიმროს საავადმყოფოში მთელი ორომტრიალით გადაიყვანეს. იმდენი იბრძოლეს მისმა პარტიელებმა, გაგვაგებინეთ, რა სჭირს ჩვენს ბელადსო - დაიდო ციხიდან გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის ვიდეო. წელს ზევით შიშველ, ხელში ატატებულ პრეზიდენტს ისე მიაპორწიალებდა ბადრაგი, უკრაინაში შესვლის კადრები გამახსენდა. ალბათ, ასეთ მიღებაზე ოცნებობდა (უკაცრავად, ფიქრობდა) პრეზიდენტყოფილი, მაგრამ რას წარმოიდგენდა, „ნაციონალების“ მაგივრად მეცხოვნეების ხელთ რომ აღმოჩნდებოდა მისი სპა-სალონებში გარუჯული, ნალოლიავები სხეული.

იხ. მე-7 გვ.

«უფალი ვინამოთ, მადლი ვაკეთოთ და ყველაფერი კარგად იქნება»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჭვანის ხეობაში ახმედ ჭარციკაძე ერთადერთი მამაკაცია, რომელიც თავის 96-ე ახალ წელს ადათ-წესების დაცვით, შთამომავლობაზე, სამშობლოზე ფიქრით ეგებება

- საიდან დავიწყოთ საუბარი, ნეტავ რა იქნება თქვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო? ალბათ მთავარი 1929 წლის მარტის მოვლენებისა და მეორე მსოფლიო ომის ძნელბედობის წლების გახსენება იქნება. 5 წლის ბიჭს კარგად მახსოვს შეიარაღებული ადამიანების ჩოჩქოლი და მიმოსვლა ჩვენი ეზოს სიახლოვეს. მაშინაც გზისპირზე გვედგა ხის ძველი სახლი. ახლა რომ მოასფალტებული გზა გადის და ყველას ქვითკირის ორსართულიანი სახლები გვაქვს ჩამწკრივებული, მაშინ საოცნებო იყო. დედაჩემი დარაბის ჭუჭრუტანიდან აკვირდებოდა მიმომსვლელებს, ახლაც მახსოვს, თვალებზე ცრემლმომდგარმა როგორ ჩაილაპარაკა: ეს ხალხი ისეა ატეხილი, მსხვერპლი გარდაუვალი იქნებაო. დედა გუმანით გრძნობდა ყველაფერს. მაშინ არც კი ვიცოდი, რომ ჟანივრელ ახმედ (ბნელი) კილაძეს აჭარის მთავრობის წევრები ჩვენი მეზობლის აბდულ ტაკიძის სახლში დატყვევებული ჰყავდა და მათი სიკვდილით დასჯის საყურებლად მოსახლეობას უხმობდა. «ბნელს» ჭკუით ინწკირვეთელმა ღეზალ ჭაღალიძემ აჯობა და ჩვენს ეზოზე გამავალი გზა-ბილიკით აჭარის მთავრობის წევრები ხიჭაურამდე ჩააცილა.

- მეორე მსოფლიო ომის წლებიდან რას გაიხსენებთ?

- იმ მედალს გაჩვენებთ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ზურგში აქტიური მუშაობისთვის დავიმსახურე. ჩემზე 7-8 წლით უფროსი ბიჭები მოქმედ არმიაში გაიწვიეს, მაგრამ ქალაქ გორის შემკრები პუნქტიდან უკან მოაბრუნეს და საქართველო-თურქეთის საზღვრის დასაცავად გაამწესეს. რა თქმა უნდა, ახლად შეღერებული ბიჭებიც ე. წ. გამანადგურებელი ბატალიონის წევრებად მიგვიღეს. ჩემს ნამოქმედარზე ახლა შეიძლება ზოგიერთს გაეცინოს, მაგრამ მაშინდელი სულისკვეთება სულ სხვა იყო - სამშობლოს ვიცავდით. სოფელში ხმა დაირხა: თურქეთიდან შეიარაღებული ჯაშუშია შემოპარული და კავიანის ტყეში იმალებაო. სამი ღამე ტყეღრეში დავძვრებოდით მის მოსაძებნად. ბოლოს, როგორც იქნა, კავიანის ციხეში დაატყვევეს და ხულოს რაიონულ მილიციას ჩააბარეს. მაშინ ხულო და შუახევი ერთი რაიონი იყო, 1952 წელს გამოვეყავით. შუახევის ცენტრში ადმინისტრაციული და კულტურის ცენტრის შენობები რომ დგას, საძირკვლის ჩაყრასა და მშენებლობაში ვმონაწილეობდით... უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ახლად გამოყოფილ შუახევის რაიონს, არც მოსახლეობა იყო ფუფუნებაში. ახალი წელი რომ მოახლოვდება, ახლა ოჯახი თადარიგს ორი კვირით ადრე იჭერს. მაშინ საახალწლოდ სიმინდს მოვხარშავდით, სხვენში ან ბეღელში გადანახულ ქესტანას (გოგრა) გავჭრიდით და ბუხარში დანთებულ ცეცხლს მივუფიცხებდით. შიდა ნაწილი რომ შეიბრაწებოდა, შემდეგ ღადარში ჩავფლავდით და ახალი წლის დადგომისთანავე მივირთმევდით. სოფელში რამდენიმე კაცი თოფსაც გაისროდა. ახლა მაშხალებით ნათდება მთელი სოფელი. ადრე, ზამთრის განმავლობაში 2-3 კილოგრამი შაქრის, ამდენივე ბრინჯის მოხმარებით ოჯახი კმაყოფილდებოდა. ახლა ბრინჯს, შაქარს, სხვა სასურსათო პროდუქტებს ერთ კვირაში რომ მოვიხმართ, 60-70 წლის წინ მთელი მარაგი იყო. გაიძახიან, გაჭირვებული ქვეყნის გაჭირვებული ხალხი ვართო. ამას ვერ დავეთანხმები. თითქმის ყველა ოჯახის ეზოში მსუბუქი ან სატვირთო მანქანაა გაჩერებული. არც ჩემს ახალგაზრდობაში ვშრომობდით ნაკლებად, მაგრამ მსგავსი ფუფუნება არ გვქონია.

- ახალ წელს როგორ ხვდებოდით?

- მფერხავი (მეკვლე) ყველა ოჯახში სავალდებულო იყო. ახალი წლის დადგომისას სახლში ცხვარს შემოვიყვანდით, ბარაქა მოაქვსო. ახლა მთელი ჭვანის ხეობა რომ შემოიარო, ორი ან სამი ოჯახი იქნება, ვისაც ცხვარი ჰყავს. ცულს, რკინის ნივთს არ მოვიხმარდით. საახალწლოდ კეცში მჭადს რომ ჩააკრავდნენ, ლითონის ფულს ჩააყოლებდნენ, ჭამის დროს ის ფული ვისაც შეხვდებოდა, ბარაქაც მას ექნებოდა. ქალები ფქვილს არ გაცრიდნენ - ბუზი და კოღო სახლში არ გამოწყდებაო. შეშას არ მოვათრევდით - გველი, თაგვი ეზოს აღარ მოსცილდებაო. ახალი წლისა და ბედობის დღეს ფულს არც გაასესხებდნენ და არც ისესხებდნენ - ვალებიდან თავს ვეღარ დაიძვრენო. სასწორს, სასწორის პინას არ გადააგდებდნენ - ხვავ-ბარაქას წაიღებსო. საქონლით სავსე ბოსელში რომ შევიდოდი, ძროხებს ჯაჭვს გადავატარებდი - ჯაჭვივით ასხმული იქნებიან და საძოვარზე ერთმანეთს არ დაშორდებიანო.

- საახალწლო სუფრის მთავარი კერძი რა იყო?

- მოხარშული სიმინდი. მეორე მსოფლიო ომის წლებში ფხალს ვხარშავდით, ფქვილიც არ იყო ოჯახში. ცხოვრება თანდათან წინ წავიდა. ვაზი მოვაშენეთ. ოჯახში ღვინის დაწურვა-დადუღება ვისწავლეთ. ერთ ხანს მევენახედაც ვიმუშავე. გამიმართლა, ბარაქიანი რთველი მქონდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პრემიის სახით 100 კილოგრამი ყურძენი მომცა. იმ წლიდან მოყოლებული, ოჯახში ღვინო და არაყი არ გამომლევია. ახალ წელს უკვე ღვინით სავსე ფიალით ან ყანწით ვეგებებოდი.

> ***„თაგინურზე თითქმის ნახევარი საუკუნე გავატარეთ მე და ჩემმა მეუღლემ. აქ გურიიდან მოვლინებული ვეტერინარი ექიმის გურგენიძის წყალობით მრავალი მეგობარი შევიძინე. ერთად ვერთობოდით «შუამთობის» დღესასწაულებზე, იყო ოჯახებში გადაპატიჟება. ისე, ყველაფერი მოგონებებში რომ დარჩა, გული მწყდება. მოხუცები პირუტყვს ვეღარ ვპატრონობთ. პირუტყვი რომ აღარ გვყავს, მთაბარობაც მოვშალეთ. უფალმა თუ ინება, მომავალ წელს თაგინურს გუნეშთან ერთად ვესტუმრები***

- ძველ დროს სიყვარულით იხსენებთ, ახალზე რას იტყვით?

- დღეს სახლის კარს რომ გამოვაღებ, ასფალტზე ვაბიჯებ ფეხს. ლამპიონებითაა განათებული ახალდაბა, წყაროთა, ჭალა, მშობლიური ტაკიძეები. ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა კლასიკური განათლება რომ მიიღონ, ხიჭაურში ყოფილი სამხედრო ნაწილის ბაზაზე, უნივერსიტეტი გაგვიხსნეს. არა მარტო ჭვანის ხეობაში, მთელს ხულოს მაზრაში ჩვენებური ალი ქარცივაძე ერთადერთი ინჟინერი იყო. ახლა აჭარის მთიანეთი მეცნიერების, ექიმების, ინჟინრების, მასწავლებლების ადგილის დედად იქცა. გაგიხარდება კაცს ახალი წლის მოსვლა, აბა, რა იქნება. სოფლის «ბირჟაზე» ისიც მითხრეს, მომავალში ხეობაში ტურიზმი განვითარდებაო.

- თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე ალბათ, სატკივარ-საწუხარიც გქონდათ?

- ცხოვრების სამდურავი რომ ვთქვა, უფალი მიწყენს, მაგრამ შეუხორცებელ ჭრილობად დააჩნდა ჩემს სულსა და სხეულს შვილის გარდაცვალება. ავტოავარიამ იმსხვერპლა ჩემი პირველი სიხარული და სიყვარული - მურმანი. იმ დღიდან მოყოლებული, სანთელივით ვიწვი და ვდნები. სამი ობოლი შვილიშვილის პატრონობა ჩემს დაკოჟრილ ხელებსაც უწევს.

- რას ისურვებდით საახალწლოდ საუკუნეს მიტანებული ამაგდარი?

- ადამიანებს გვიყვარდეს ერთმანეთი, სიძულვილს სიკეთე არ მოაქვს. ერთმანეთის სიყვარული, თანადგომა იყოს თითოეული ქართველის მეგზური 2022 წელს, ქვეყნად მშვიდობა და აღმშენებლობა დაგვებედოს. უფალი ვიწამოთ, საქმეს ხელი მოვკიდოთ, მადლი ვაკეთოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

საახალწლო ღონისძიებების დაიჯესტი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის მერმა როლანდ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ, მერის პირველმა მოადგილემ იმედა ვასაძემ 2021 წელს საზოგადოებრივ, პროფესიული, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების სამსახურში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის 12 ადამიანი დააჯილდოეს

„დამსახურებული ქედელის“ წოდება მიენიჭათ ნანული დიასამიძეს, დურმიშხან ბოლქვაძეს, ლამარა ბერიძეს, სურიე ჩიკვაიძეს, მარინე ბერიძეს, იოსებ მახაჭაძეს და ქეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

მალ სალაძეს.

აღსანიშნავია, რომ გენდერულმა საბჭომ მარინე ბერიძის კანდიდატურა პანდემიასთან ბრძოლის დროს მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისთვის წარადგინა.

„საპატიო ქედელები“ კი არჩილ დიასამიძე, ნოდარ ბარამიძე, ბესიკ ბერიძე, ქეთო საფარიძე და შოთა ანანიძე გახდნენ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ მოწვეულ სტუმრებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და მუნიციპალიტეტის სახელით გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა.

ღონისძიება განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

სადღესასწაულო აქტივობები, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, გათვლილი იყო ყველა ასაკის მოქალაქეზე. მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების წარმოებული სხვადასხვა პროდუქტისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პატარებს თოვლის ბაბუა ტკბილეულითა და საჩუქრებით გაუმასპინძლდა. ელფებმა ბავშვების გამხიარულებაზე იზრუნეს.

საახალწლო კონცერტი, რომელშიც ადგილობრივმა და მოწვეულმა მომღერლებმა - ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესამ“, ირინე დევაძემ და ჯგუფმა „არამ“ მიიღეს მონაწილეობა, კოვიდრეგულაციების დაცვით მიმდინარეობდა.

ღონისძიება საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტში, ჭირვეული ამინდის ფონზე, გრანდიოზული საახალწლო ღონისძიება გაიმართა.

მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების - ჭვანელი ფერმერის როლანდ ქათამაძის, ტაკიძეებელი თამუნა ქარცივაძისა და ლიკა ტაკიძის წარმოებული პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

პატარები თოვლის ბაბუამ ტკბილეულით გაახარა.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ მოსახლეობას შობა-ახალი წელი მიულოცეს და შუახევის წინაშე გაწეული ამაგისთვის 8 წარმატებული ადამიანი „საპატიო შუახეველის“ დიპლომებით დააჯილდოვეს. ეს პატივი წილად ხვდათ პროფესორ ოთარ თურმანიძეს, ექიმ ტარიელ ბერიძეს, მოსამართლე გოჩა ფუტკარაძეს, პუბლიცისტ შოთა ცეცხლაძეს, სპორტის ამაგდარ ნოშრევან დავითაძეს, ვეტერან მოცეკვავე შოთა დიასამიძეს, პენსიონერ პედაგოგს შოთა ჯიბლაძეს, ბიზნესმენ ლევან (ასლან) მჟავანაძეს. საახალწლო კონცერტში შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები, მოწვეული ანსამბლი „რეზო და ბავშვები“, ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ მონაწილეობდნენ. ღონისძიება საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

* * *

ხულოში გამართული გრანდიოზული საახალწლო მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ხულოს დრამატული თეატრის

მიმდებარედ მოეწყო საშობაო ბაზრობა, საბავშვო გასართობი სივრცეები, ადგილობრივი ხელოვნების ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლებისა და მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით.

საღამო მუსიკალური ჯგუფის „რეზო და ბავშვები“ კონცერტით და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

- ასეთი ახალი წელი 2014 წლის შემდეგ არ გვქონია. ზეიმს თოვლიც უხდებოდა, - გვითხრა ხულოს კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯუმბერ აბაშიძემ.

საახალწლო ნაღვლიანი ზღაპარი – პატიმარ ექსპრეზიდენტსა და მის ერთგულ თანაპარტიელებზე

მე-5 გვერდიდან

აქეთ პანდემიაზე, დაღუპულთა რიცხვის მატებაზე და ახალ შტამზე დაიქცა ქვეყანა, იქით კი - სააკაშვილის სამარცხვინო ქცევის კადრებზე ატყდა ამბავი, რატომ გაასაჯაროვეთო. პეპლის („ნურც გაფრინდები“) როლს მიჩვეული მმართველი გუნდი ზედიზედ იგერიებდა ექიმების და ადვოკატების თავდასხმებს, შემდეგ კი, არც თქვენსკენ არც ჩვენსკენო და... გორის მრავალპროფილურ ჰოსპიტალში დაუდო ბინა განებივრებულ პატიმარს. აღარც სააკაშვილს მოუსურვებია ბადენ-ბადენი, ჩათრევას (ახსოვდა კარგად) ჩაყოლა სჯობია, საავადმოფოში დავემალები მართლმსაჯულებასო და... როგორც იქნა მისცა „უცხო ექიმებს“ მკურნალობის ნება.

აქაც უკმაყოფილება ააგორეს „მისმა ბიჭებმა“, ვინ იცის, რას და როგორ უკეთებენ, ისეთი აპარატი დაუდგეს გვერდით, ნაღდად აგიუებენო. აქეთ უკრაინელმა პოლიტიკოსებმა იშოვეს დრო და ყვებოდნენ ჩქარ-ჩქარა, როგორ ატერორებდა ოდესაში ბიზნესს მიშას ზონდერ-ბრიგადები. ისიც ითქვა, უკრაინელ ოლიგარქებს გამოექცა მიშა და ქართულ ციხეს შეაფარა თავიო. იქით, ევროპარლამენტარები არკვევდნენ მის მდგომარეობას. რუსეთი კი კვდებოდა სიცილით, მაგას კიდევ გაგიუება უნდოდაო(?!). ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, მას შემდეგ, რაც პუტინმა სააკაშვილი ციხეში ნახა, გამხიარულდა, არადა, ბოღმა არ ასვენებდა ამდენ ხანს, ლილიპუტინობას რომ სწამებდა ჩრდილოური იმპერიის პატრონს და კმაყოფილი დარჩა, ჰალსტუხიც რომ აღარ დარჩა საჭმელად. იცინა პუტინმა, იცინა და... დაარტყა ყაზახეთს, აბა, კარგ ხასიათზე როდემდე დარჩებოდა...

ისე გამწარდა მიშა ოთხ კედელში, შეგიგების იდეაც კი წამოაყენა, თუმცა მისმა შეთანხმების სურვილმა მხოლოდ 48 საათი გაძლო, შემდეგ კი გადაწყვიტა ეკლესიისთვის მიემართა. როდესაც მოძღვარმა მონანიება შესთავაზა, გაბრაზდა, რა მჭირს მოსანანიებელიო და სულ მე-5 კოლონა ეძახა. როგორც იქნა, დაასრულა 50-დღიანი შიმშილობის ეპოპეა და სასამართლოზე გასვლის ჯერიც დაუდგა. შიმშილისგან მისავათებულის კვალობაზე, მშვენივრად გამოიყურებოდა და ომახიანად საუბრობდა. სიტყვაც ლიდერის შესაფერისი მოამზადა. დაგვაყვედრა ყველას, როგორ გააკაშკაშა საქართველო, როგორ გაიყვანა გზები, ჩააცვა ჯარს და პოლიციას, დააპურა ერი და ბერი... აღშფოთება მისივე ხელდასმული მოსამართლეების შესახებ გამოხატა, უსამართლო სასამართლოდ მოიხსენია. იმაზეც გაბრაზდა, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში მარტო მას რომ სდებდნენ ბრალს. ყოფილი ცოლი მოითხოვა - გვერდით დამისვით საბრალდებო სკამზე, სანდრას ჩემზე მეტი აქვს გახარჯულიო.

ჩატარდა ერთი სასამართლო, მეორე... „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, ყველა ქალაქიდან ერთ სულ, ერთ ხორც გაერთიანდნენ და თბილისში თავმოყრილები ითხოვდნენ ექსპრეზიდენტის გათავისუფლებას. მისივე მითითებით, დაბადების დღეც კი აღუნიშნეს სტალინთან ერთად, მარშით ჩაიარეს დედაქალაქში.

თავის დროზე პარიზიდან მიშას მიერ ჩამობრძანებულმა ჩვენმა პრეზიდენტმაც ამოიღო ხმა: არავითარ შემთხვევაში არ შევიწყალებო, შემდეგ კი საზღვარგარეთ გაემგზავრა, იქ მოაწყო შეხვედრები და... ჩამოსვლისთანავე გადაწყვიტა ეროვნულ შერიგებას ჩასდგომოდა სათავეში. „ქართული ოცნების“ ლიდერები დღემდე ეჭვით უცქერენ პრეზიდენტის მცდელობას, ამაოდ დაშვრება, მაგრამ რა ქნას, კეთილშობილია და სხვაგვარად არ ძალუძსო, აცალეს. კულუარებში იმასაც ამბობენ, სალომეს დაავალეს მიშას გათავისუფლება და ნათქვამი სიტყვა რომ გადათქვას, ამ პროცესს მაგიტომ აწყობსო.

პირველივე შეხვედრაზე გამართლდა მმართველი გუნდის მწარე გამოცდილება. მიშას ხათრით, პრეზიდენტის საახალწლო ვახშამსაც არ დაესწრნენ „ნაციონალები“, არ ეწყინოს, კაცი დაპატიმრებულიაო. ძალიან უფრთხილდებოდნენ, ელოლიავებოდნენ, მაგრამ ვერაფრით გამოიხსნეს. ყველა მცდელობა ამაო გამოდგა, შემორჩათ სააკაშვილი საპატიმროში, ვერც საერთაშორისო მართლმსაჯულებამ უშველათ, ვერც უცხოელმა ადვოკატებმა.

როდესაც მიხვდა მიშა, აქედან ხსნა აღარ არისო, „კაგებეს“ ყოფილ გენერალს, თემურ ალასანიას მოუხმო. ჩამოვიდა ალასანია ბიძია, იმსჯელეს, ოჯახურად გაარჩიეს საქმე. ალბათ მზრუნველმა ბიძამ დაარიგა გაუზნეურებული დისშვილი, რაღა შენ შიმშილობ, ეგენი რისთვის გყავს, მიუშვიო და...

„არავის თეთრსაც არ მოგცემთ, ლიდერი ციხეში გამომწყვდეული უნდა დატოვოთ, თქვენ კი საახალწლო სუფრას მიუსხდეთ?!.“, - დააგდო სიტყვა ალასანიამ და... გაემგზავრა მოსკოვში.

მომიად გადარჩენილი „გირჩი“ და „ევროპული საქართველო“ სატელიტობის მადლს იფიცებენ და სულმოთქმულად ელოდნენ მსუყე საახალწლო დღეებს.

„ქართული ოცნება“ კი, გამარჯვებას პომპეზურად ზეიმობდა, პანდემიით გარდაცვლილთა ყველადღიურ სტატისტიკასთან ერთად, ყოველ საათში, იუმორნარევი წინადადებით ახსენებდა საქართველოს: „სააკაშვილმა ახალი წელი, სიხარული, სმა-ჭმა აკრძალაო“ და ზედიზედ ატრიალებდა იმ კადრებს, სადაც, ცელოფნებით შებუდრულ სადგომში, ლეიბებზე მიგორებული, ნაღვლიანი „ნაციონალები“ სააკაშვილზე გამოცემულ წიგნებს (სხვა ლიტერატურას არ აძლევენ) კითხულობდნენ და შამფურზე წამოცმულ გოჭებზე, ტივებზე ქეიფსა და მრგვალად მოხარშულ დედლებზე ოცნებობდნენ. უკაცრავად, ფიქრობდნენ, მათთვის ხომ „ოცნება“ აკრძალულია...

იმდენი „იფიქრეს“ მიხვდნენ, მათი შიმშილი არავის ანაღვლებდა, პირიქით, სიცილი დააყარეს კონკურენტებმა. ნახევარზე მეტი საქართველო შიმშილობს, მაგრამ ამით ვინ შეწუხებულაო, განაცხადეს „ერთგულმა ბიჭებმა“ და... შეირგეს ახალი წელი. ამ პერიოდში დამშვიდდა ქვეყანა, ომიკრონის ტალღაც კი შეჩერდა ცოტა ხნით, მაგრამ შემდეგ ისევ დატრიალდა პოლიტიკური ბორბალი, „ნაციონალები“ თუ ბოიკოტს აწყობენ, მე შევალ პარლამენტში და ჩემს ერთადერთ მანდატს გამოვიყენებო, განაცხადა ნათელაშვილმა. სხვებმაც დალოცეს: „ეს ერთი და სხვა მრავალიო“. ენმ-ს წევრები კი, პახმელიის სინდრომის გავლენით თუ ციხეში გადაბრძანებული ლიდერის წინაშე დანაშაულის შეგრძნებით, გააქტიურდნენ, შექმნეს „მიშას სექტორი“ და დაუმორჩილებლობის ჯგუფების დაკომპლექტება დააანონსეს. ისიც თქვეს, სანამ „იმ“ კადრების გასაჯაროების ინიციატორს არ გამოავლენთ, არ ვივლით პარლამენტშიო. ალბათ დაავიწყდათ, თავად რომ ითხოვდნენ მიშას მდგომარეობა გაგვაგებინეთო. ჯერჯერობით სიჩუმეა ამ ფრონტზე, მაგრამ შემდგომ რაც იქნება, მოგახსენებთ...

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/01/22, 20 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

რატომ უყვართ „დიდოსტატი“ ედუარდ გორგილაძე?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში სხვადასხვა პროფესიის არაერთი გამორჩეული ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ალამაზებენ ჩვენს ქალაქს, უჩუმრად, მაგრამ დიდი სიყვარულითა და რუდუნებით აკეთებენ საყვარელ საქმეს და ეს საქმიანობა არა მარტო მათ ანიჭებთ სიამოვნებას, არამედ ირგვლივ მყოფებსაც უთბობს გულს

ასეთი ადამიანები ქალაქის დიდ სიყვარულს იმსახურებენ, ისინი არასოდეს „აწუხებენ“ თანამდებობებზე მყოფთ, რომ „გამოაჩინონ“, მაგრამ... მაინც ჩანან. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ მათ ღვაწლს „ზემოთაც“ დაინახავენ და დააფასებენ, ეს საჭირო და აუცილებელია ყველა ადამიანისთვის საქმიანობაში შემდგომი სტიმულისთვის. დღეს ვისაც ჩვენი გაზეთით წარმოგიდგენთ, სხვებთან ერთად ბათუმის მერიამ გამოარჩია და „წლის დიდოსტატის“ წოდება მიანიჭა.

ედუარდ გორგილაძე - ბოლო ერთი წელია, მთელმა თუ არა, ნახევარმა საქართველომ მაინც გაიცნო უფრო ახლო. საქმე იმაშია, რომ რამდენიმე ხნის წინ ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა ლაშა ღლონტმა ახალი კლიპი შემოგვთავაზა, სადაც არაჩვეულებრივ სიმღერას ასრულებს - „აჭარულმა“ დიდი მოწონება დაიმსახურა, მას ათასობით ნახვა აქვს. ჰოდა, ამ სიმღერის ავტორია ჩვენი ედუარდი...

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალური განყოფილება დაამთავრა, შემდეგ კონსერვატორიაში ჩაბარა. თავდაპირველად სულიკო გიორგაძე, შემდეგ კი მურმან მახარაძე ასწავლიდნენ. ამაყობს ამ პედაგოგებით. პარალელურად სახელმწიფო კაპელაში მღეროდა. 2005 წლიდან მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიაში გადავიდა - მარიამ ჯახუტაშვილთან დაიწყო სოლო სიმღერის შესწავლა, ამასთან, პარალელურად იოანე ნათლისმცემლის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა გალობას. როგორც ამბობს, გალობა მისთვის მთელი ცხოვრებაა. ჩამოაყალიბა არაპროფესიონალ მომღერალთა 12-კაციანი გუნდი სტიქაროსნებისგან, მედავითნეებისგან და არაერთი ტრადიციული ძველი

საეკლესიო საგალობელი აღადგინეს. ასე თანდათან, ედუარდმა კარგი საფუძველი მიიღო და 7-8 წლის წინ რამდენიმე კომპოზიციის შექმნა მოსინჯა. ამბობს, რომ ეს მისი „ჭიის გახარება“ იყო. ჯერ საბავშვო სიმღერა დაწერა და თავად შეასრულა შვილთან - იოანასთან ერთად, რომელსაც ასევე უყვარს სიმღერა და შესანიშნავადაც მღერის. ნელ-ნელა, რომ იტყვიან, „კბილი მოუსინჯა“ კომპოზიტორობას. ამის სათანადო განათლება არა აქვს, მაგრამ მუსიკასთან ყოველდღიურმა საფუძვლიანმა შეხებამ (მღეროდა ბახის, ბეთჰოვენისა და სხვათა შედევრებს) გადააწყვეტინა.

- წლების განმავლობაში მიღებული ყველა ინფორმაცია „შედის“ ტვინში და გიჩნდება სურვილი, რომ რაღაც შენი გააკეთო და ეს ინფორმაცია ასე გასცე. არსებობს ტრადიციული სიმღერა და ცეკვა, მე კი მინდოდა, რაღაც განსხვავებული შემექმნა, ქალაქურ ჟანრში, თან ისეთი, რომ ახალგაზრდები, ჩვენი თაობა ამას ადვილად მიიღებდა. ჰოდა, გავბედე. სიმღერაში ქალაქურთან ერთად, გალობის ელემენტებიც შევიტანე. ზურაბ გორგილაძის ტექსტი ხომ საოცრებაა, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისმა ლექსმა ამამღერა. ორი ლექსი გავაერთიანე. სულ ვთვლიდი, რომ ზურაბ გორგილაძესთან „ვალში ვიყავი“ და მადლობა უფალს, რომ საშუალება მომცა, ეს ვალი მცირედით მაინც გადამეხადა. ძალიან მიხარია, რომ ეს კომპოზიცია, კლიპი ხალხმა სულითა და გულით მიიღო. თავდაპირველად, ამ სიმღერას მე და ჩემი ქალიშვილი ვღიღინებდით სახლში, მერე იოანას პირველი ხმა შევასწავლე და ასე ავმღერდით ერთად. მე ლაშა ღლონტის საბავშვო სტუდია „ლალეში“ ვმუშაობდი. მისმა დირექტორმა, ჩვენმა მეგობარმა ლელა მითაიშვილმა მირჩია, სიმღერა ლაშასთვის გამეცნო. მას ძალიან მოეწონა და მთხოვა, ოთხ ხმაში გამეშალა. ხმების შერწყმის პრობლემა არ მქონდა და ორ დღეში სიმღერა მზად იყო. ლაშამ გადაწყვიტა, კლიპი გადაეღო, რომელშიც ბათუმელი მომღერლები და ქალაქის მცხოვრებლები მიიღებდნენ მონაწილეობას. თავიდან ეჭვის თვალით ვუყურებდი, ამ გურულ კაცს აჭარული ტექსტი როგორ გამოუვა-მეთქი, მაგრამ ვფიქრობ, ძალიან მოუხდა ეს ყველაფერი სიმღერას. შარშან გადავიღეთ კლიპი „აჭარული“, რომელიც დღემდე ძალიან პოპულარულია. მიხარია, რომ ხშირად მეხმიანებიან ჩვენი ემიგრანტები იტალიიდან, ამერიკიდან... ზუსტ ტექსტს მთხოვენ, რადგანაც აჭარულ კუთხურს ყველა ვერ ხვდება. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ამ სიმღერას ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავს, ინტერნეტში ხშირად აზიარებენ. კარგად მღერიან ბიჭები, ბათუმელებისგან შექმნილი ჯგუფი. კარგი კლიპი გამოვიდა, რომელიც გიორგი შკუბულიანმა გადაიღო, - გვითხრა ედუარდ გორგილაძემ.

- კლიპში ნამღერი „აჭარული“, ჩემი აზრით, შევა იმ სიმღერებს შორის, რომელსაც „თაროზე შემოდება“ არ უწერია. რაკი ასე კარგად გამოგვიდათ, რაიმე ახლის შექმნა ხომ არ გიფიქრიათ?

- კი. ვმუშაობ ერთ კომპოზიციაზე, სიმღერა მთას ეხება. მე მთაში - ხულოში დაბადებული კაცი ვარ და ერთი სიმღერა ჩემგან ხომ ეკუთვნის? ვაჟა-ფშაველას ტექსტზე იქნება, მინდა რაღაც „ფერები“ შევიტანო, ვნახოთ, რა გამომივა.

- სახლში ვინმე მღეროდა?

- დედა - ცისანა ასლანიძე, მამა - ნოდარ გორგილაძე გარმონზე უკრავდა. დეიდაც მღეროდა ისეთ უძველეს სიმღერებს, გული მწყდება, რომ არ მქონდა მაშინ ჩაწერის საშუალება.

- პროფესიონალებისგან ბევრჯერ გამიგონია, რომ ბავშვმა სიმღერა ჯერ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს.

- რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია, რადგან ხმის აპარატი სხვანაირად უყალიბდება. ქართული სიმღერა შესასრულებლად რთულია. რამდენი ვარსკვლავი მინახავს, ქართულად მღერის, მაგრამ სიტყვებს „უცხოურად“ წარმოთქვამს, რაც ჩვენს ენას არ უხდება. აუცილებელია, ბავშვი თავდაპირველად ქართულ სიმღერას აზიარო, უცხოურს ისედაც შეისწავლის.

ამჟამად ედუარდ გორგილაძე მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის სოლისტია, მონაწილეობდა სხვადასხვა სპექტაკლში („ჯამბაზები“, „კარმენი“, „აბესალომ და ეთერი“, „ტრავიატა“, „დაისი“, „ბოჰემა“). პარალელურად, ბავშვებს გიტარაზე დაკვრას ასწავლის. ადრე ჩონგურზეც უკრავდა. მისი ოჯახიც მუსიკალურია - მეუღლეს, ხატია კეჭეხმაძეს, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, კარგად უკრავს ფორტეპიანოზე და მღერის. ამჟამად წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში გალობს, ვაჟი საბა, რომელსაც კარგი სმენა და ხმა აქვს, ჯერჯერობით სპორტითაა დაინტერესებული, მღერის ედუარდის 11 წლის გოგონა იოანაც.

ვულოცავთ ედუარდ გორგილაძეს „წლის დიდოსტატის“ წოდებას. კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს მისთვის და მისი ლამაზი ოჯახისთვის 2022 წელი.

„აჭარის“ 2021 წლის ნომინაციები

ანანო ტაბიძე 27 48 93

ახალ წელს ახალი იმედებით, ოცნებებით, სურვილებით ვიწყებთ, თუმცა ძველ წელს აუცილებლად გადავავლებთ ხოლმე თვალს და ხუმრობანარევ სიმართლესაც ვიტყვით, იმედს ვიტოვებთ, გულში არავინ ჩაიდებს

მაინც როგორი იყო 2021? ძველ წელს პოლიტიკურ კონტექსტში თუ განვიხილავთ, ფრიად რთული იყო, რადგან შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა და დღემდე ვერ გაარკვია საზოგადოებამ, ამ არჩევნებში ვინ გაიმარჯვა - პოზიციამ თუ ოპოზიციამ, რადგან ორივე მხარე ირწმუნება, რომ არჩევნები მოიგო. ამ ლოგიკით გამოდის, დამარცხებული არავინაა და ამასთან, თუ ქართულ ხასიათსაც გავითვალისწინებთ, დამარცხების აღიარებაც რომ გვიჭირს და მარცხთან შეგუებაც, ახალი არაა, თორემ, ასე რომ არ იყოს, ქვეყნის მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საზღვრის ფარულად გადმოკვეთას გულშიც არ გაივლებდა. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ნომინაცია - **წლის რისკიანი** არავის დაუთმო. რისკზე გამახსენდა, ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამს, თუმცა, ისიც ვიცით, ვინ რისკავს...

წლის პოლიტიკური მოვლენა - ეროვნული შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯებია, რომლის ინიციატორიც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გახლავთ, თუმცა ძალიან იმედიანებიც ნუ ვიქნებით, რადგან შერიგების სურვილზე მეტად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ლიდერის გათავისუფლების მოთხოვნა უფრო ამოძრავებს და ამიტომ საყოველთაო შიმშილობაც წამოიწყეს პარტიის ლიდერებმა მხარდამჭერებთან ერთად. ისე, შიმშილობაცაა და შიმშილობაც. ვინ თაფლით და ხი-

ლფაფით შიმშილობს და ვინ კიდევ მხოლოდ წყალს სვამს.

წლის ქალი ელენე ხოშტარიაა. შიმშილობით სწორედ მან იშიმშილა და საზოგადოებას დაანახა, რას ნიშნავს პრინციპულობა.

წლის პოლიტიკური გუნდის ნომინაციაში გამარჯვებულად „ქართულ ოცნებას“ ვასახელებთ, გუნდი, რომელიც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის სათავეშია, შეცდომების მიუხედავად (უშეცდომო მთავრობა გინახავთ სადმე?).

მართალია, წინასაახალწლოდ საზეიმო განწყობა გვაქვს, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით ჩვენი (და არამხოლოდ) ქალაქის ტკივილს - ჩამონგრეული კორპუსი და ნანგრევებში დაღუპული ადამიანები. ეს ტკივილი დიდხანს გაგვყვება. ამ ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ **წლის გმირი** მაშველია.

წლის ჩემპიონი კი ბათუმის „დინამოა“!

წლის პიროვნების ტიტული წილად ხვდა უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძეს. სად არ ნახავთ მას, მთაში თუ ბარში - ხალხის გვერდით.

წლის აკადემიური პოლიტიკოსი ჩვენს რეგიონში აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტიტე არაოშიძეა - ზომიერი და გაწონასწორებული ადამიანი.

წლის გახსნილი უწყება - ჯანდაცვის სამინისტრო.

წლის მძარცველი - ბადრი ესებუა.

წლის თავდამსხმელი - თეა წულუკიანი.

წლის დაუპატიჟებელი სტუმარი - ომიკრონი!

წლის პროფესია - ექიმი!

წლის სურვილი - პანდემიის დასრულება!

„აჭარის“ წლის ყველაზე დიდი **გულშემატკივარი რესპონდენტი** - ასლან ლორთქიფანიძე.

წლის „უცხო სურნელი“ - მირდატ ქამადაძე.

დაბოლოს, **წლის გამარჯვებული** სიყვარულია! რომ არა სიყვარული, ვერც პატიებას შევძლებდით, ვერც ერთმანეთის გვერდით დგომას და ახალი წლის მოლოდინიც უფერული იქნებოდა.

გილოცავთ 2022 წელს! ჯანმრთელობას, ერთმანეთის გატანას, სიკეთეს და თქვენი მიზნების ასრულებას გისურვებთ! ბედნიერ საქართველოში გვეცხოვროს!

National Geographic-ი - საქართველოზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, გავლენიანმა გამოცემამ National Geographic-მა საქართველოს შესახებ ორი სტატია მოამზადა.

„კულტურის ოთხი სეზონი საქართველოში“ - ამ სათაურით პირველ სტატიაში აღწერილია ქართული სტუმარმასპინძლობა, სუფრა, ადგილობრივების მუსიკა, ცეკვა და ქართული კულტურა. შემდეგი სტატია საქართველოს ბუნებას ეძღვნება სათაურით „მთებიდან ზღვამდე საქართველოში.“ მასში აღწერილია ქვეყნის უნიკალური ეკოსისტემა და მრავალფეროვანი ბუნება: მთებში ლაშქრობები, საქართველოს სამთო კურორტები, ეროვნული პარკები, მდინარეზე ჯომარდობა და შავი ზღვის სანაპიროები.

ჟურნალისტი ტარა იზაბელა ბარტონი მკითხველს ინფორმაციას აწვდის თბილისის, ბათუმის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტების, მესტიისა და ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტების, აგრეთვე ქალაქებს შორის სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის შესახებ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ზამთრის მარკეტინგული კამპანია მსოფლიოს უდიდეს მედია და სამოგზაურო პლატფორმებს მოიცავს. უწყებამ კამპანია გასული წლის ნოემბერში დაიწყო და იანვრის ბოლოს დასრულდება.